

გუდაურის სარეკრეაციო
ტერიტორიის
მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

დანართი N 1 ტექტურის ნაწილი



1. შესავალი

სამთო-სათხილამურო კურორტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა წარმოადგენს კურორტზე არსებული საკუთრებების და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების გრძელვადიან ხედვას. კურორტი მოიაზრება, როგორც მთელი წლის განმავლობაში აქტიურ, არსებულ მომსახურე საშუალებებთან შედარებით მეტად განვითარებულ, რეგიონული დანიშნულების კურორტი.

2. მიზნები და ამოცანები

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

- არსებული სათხილამურო მომსახურების საშუალებების გაახლება და მოდერნიზება;
- კობისა და ახალი გუდაურის დამაკავშირებელი, მთელი წლის განმავლობაში მოქმედი გონდოლიანი საბაგირო გზის და ამავდროულად კობი გუდაურის ჩრდილოეთ ფერდის საბაგირო გზებით მისადგომი სათხილამურო ტრასების განვითარება;
- საბაგირო გზების და სათხილამურო ტრასების ტევადობის/გამტარუნარიანობის დაბალანსება, სადაც შესაძლებელია;
- მაქსიმალური კომფორტისა და ტევადობის/გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა მინიმალური ღირებულებით და მართვისათვის საჭირო დანახარჯით;
- საბაზო არეალში ასაყვანად საჭირო მომსახურე საშუალებების (მოთხილამურეთა მომსახურების, ერთი დღით ჩამოსული მოთხილამურეთა ავტოსადგომის, კომერციული ცენტრის, ღამის გასათევის) უზრუნველყოფა მთასთან მისადგომობის და ტევადობის/გამტარუნარიანობის მოთხოვნის მიხედვით;
- მომსახურების საშუალებების ხარისხის მუდმივი ზრდა სამთო-სათხილამურო ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- დამწყებთათვის საჭირო მომსახურების საშუალებების და ტერიტორიის ხარისხის გაზრდა, ასევე, გარდა თხილამურებისა და სნოუბორდით/დაფით სრიალისა დამატებითი სარეკრეაციო აქტივობების დანერგვა;

სამთო-სათხილამურო კურორტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა წარმოადგენს კურორტზე არსებული საკუთრებების და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების გრძელვადიან ხედვას. კურორტი მოიაზრება, როგორც მთელი წლის განმავლობაში აქტიურ, არსებულ მომსახურე საშუალებებთან შედარებით მეტად განვითარებულ, რეგიონული დანიშნულების კურორტი. სარეკრეაციო ტერიტორიაზე განაშენიანების კუთხით იყოფა სამ ძირითად ტერიტორიად, ესენია: ცენტრალური გუდაური, ახალი გუდაური და კობი-გუდაური.

საკურორტო დასახლება **ახალი გუდაური** იქნება კურორტის მთავარი საფეხმავლო ცენტრი. ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის: მოთხილამურეთა მომსახურების ცენტრი, სავაჭრო დაწესებულებები, საზ-კვების ობიექტები, დასასვენებელი სივრცეები, საკონფერენციო დარბაზები და სხვა განთავსდება საკურორტო დასახლების შენობების

პირველ სართულზე. საკურორტო დასახლება ახალი გუდაურის მთლიანი სავარაუდო ტევადობა იქნება დაახლოებით 5300 საწოლი და სავარაუდოდ ასეთი განვითარების შემთხვევაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში არსებული საცხოვრებლებიდან და ავტოსადგომებიდან დაახლოებით 4000 მოთხილამურის განთავსება იქნება შესაძლებელი პიკურ პერიოდში.

სამხრეთ გუდაურის ზონირების რუკაზე (რუკა 22ბ) განსაზღვრულია პოტენციური განვითარების ოთხი ადგილი **ცენტრალურ გუდაურში**. რომელთათვის მომზადდა განაშენიანების რეგულირების გეგმები. მათი განვითარება ბუნებრივად გააგრძელებს არსებულ განაშენიანებას. ნებისმიერი განვითარება, რომელიც იქნება შემოთავაზებული თავსებადი უნდა იყოს მომიჯნავე ზონასთან.

ახალი საბაზო არეალი მდებარეობს **კობში**, 30კმ-ში სამხრეთით რუსეთის საზღვრიდან და 1.5საათის საავტომობილო სავალ მანძილზე ვლადიკავკაზიდან, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქიდან. კობი-გუდაურის საბაზო არეალი გააუმჯობესებს წვდომას გუდაურის სათხილამურო არეალთან, ჩრდილოეთიდან მოსული სტუმრებისთვის რუსეთიდან, ოსეთიდან, ბესლანის აეროპორტიდან. საბაზო არეალი მდებარეობს ზღვის დონიდან 1 985მ ნიშნულზე, მდინარე თერგის და ბიდარას შესართავთან, ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთით და არაჩვეულებრივი ხედებით გარშემო მთებზე ყველა მიმართულებით.

3. მთის სათხილამურო და სნოუბორდის (დაფით სრიალის) მომსახურების საშუალებები

საბაგრო გზებისა და სათხილამურო ტრასების დაგეგმარებისათვის საჭირო პარამეტრები

საბაგრო გზებისა და სათხილამურო ტრასების სისტემის დაგეგმარებისას აუცილებელია სამომომავლო საბაგრო გზებისა და დამატებითი სათხილამურო ტრასების განვითარება, ისეთი წესრიგით დაიგეგმოს, რომ არ შეიქმნას კონფლიქტი, გადატვირთვა, ჭყლეტვა ან თოვლის მდგომარეობის გაუარესება. სხვადასხვა საბაგრო გზების შესასვლელის და გამოსასვლელის ტიპების მოხმარებას, ასევე სათხილამურო ტრასების დახარისხებას შეუძლია მოთხილამურეს მისცეს სასურველი სათხილამურო ტრასის არჩევის საშუალება, რათა გაუმჯობესდეს სათხილამურო ტრასების მოხმარება, ან აცილებულ იქნას არეალების მნიშვნელოვანი გადატვირთულობა.

სათხილამურო ტრასები და ქანობები ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ შეიქმნას საუკეთესო სათხილამურო პირობები. ამის შემდეგ უნდა მოხდეს საბაგრო გზების განთავსება ისე, რომ საუკეთესო მომსახურება გაეწიოს სათხილამურო ტრასებს, რადგან საბაგრო გზები ძირითადი მისადგომი საშუალებაა. საბაგრო გზა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, რაც დამოკიდებულია ბუნებრივი რელიეფის თავისებურებებზე, მოთხოვნილ საათობრივ გამტარუნარიანობაზე და სათხილამურო ტრასის ტიპზე, რომელსაც ის მომავლაში უნდა ემსახურებოდეს.

საბაგრო გზების განთავსება არ უნდა მოხდეს მხოლოდ ზედა და ქვედა, კარგი ან მოსახერხებელი პუნქტების მდებარეობის შერჩევით, ან სამშენებლო ხარჯის შემცირების გათვალისწინებით. არსებობს საბაგრო გზების უამრავი ალტერნატივა, რომელიც მრავალ ადგილას შეიძლება მოეწიოს. საბაგრო გზის მშენებლობის ღირებულება (მიუხედავად მისი მნიშვნელობისა) მაინც მეორეხარისხოვანი უნდა იყოს სათხილამურო ტრასის ხარისხთან, ესტეტიკასთან და გარემო ფაქტორებთან შედარებით. საბაგრო გზების შესასვლელი და

გამოსასვლელი სასურველია მდებარეობდეს დაცულ ადგილებში, რომელთა ქანობი 20%-ზე ნაკლები იქნება. ამისთვის უნდა გამოიყოს შესაბამისი სივრცე, საბაგრო გზის ასასვლელი რიგისთვის, უსაფრთხო გაჩერებისთვის, ჩამოსასვლელი სივრცისთვის და ძირითადი თავშეყრის ადგილებისთვის როგორც ზედა, ასევე ქვედა სადგურებისათვის.

როდესაც სათხილამურო საბაგრო გზების გამტარუნარიანობის/ტევადობის ძირითადი ნაწილი განცალკევდება საბაზო არეალისგან, მნიშვნელოვანია რომ საბაზო არეალის საბაგრო გზების ადგილმდებარეობა და გამტარუნარიანობა/ტევადობა დაგეგმარდეს მოთხილამურეთა ეფექტური გადანაწილებისთვის საბაგრო გზების სისტემის ფარგლებში, 2-დან 2.5 საათიანი აყვანის პერიოდით.

4. მოთხილამურეთა გამტარუნარიანობა - საბაგრო გზები

როგორც ზემოთ ავლინებთ, სათხილამურო არეალში მოთხილამურეთა გამტარუნარიანობის განსაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანია სათხილამურო არეალის დაგეგმვისას. მოთხილამურეთა ნაკადების გამტარუნარიანობა იზომება პირობით, რაც მოთხილამურეთა ერთდროულ რაოდენობას გულისხმობს და წარმოადგენს მოთხილამურეთა რაოდენობას, რომელმაც შეიძლება უსაფრთხოდ ისარგებლოს საბაგრო გზისთვის გამოყოფილი ტერიტორიით და სათხილამურო ტრასების სისტემით და ამავე დროს უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება თითოეული დონის მოთხილამურისთვის. მოთხილამურეთა ერთდროული რაოდენობის გამტარუნარიანობა/ტევადობა განისაზღვრება საბაგრო გზის გამტარუნარიანობის, ფერდობზე დასაშვები სიმჭიდროვის, დახრის კუთხის, მოთხილამურეთა ცოდნის კლასიფიკაციის და საბაგრო გზებით უზრუნველყოფილი ტერიტორიის შვეული მეტრის ერთიანობით.

კურორტის საბაზო არეალის განაშენიანება ისე უნდა დაიგეგმოს, რომ არ მოხდეს ტერიტორიის გადატვირთვა და ბალანსის დარღვევა. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავებისას, გამოყენებულ იქნა მთის დაგეგმვის პარამეტრები. ქვემოთ მოყვანილია ციფრებისა და ლათინური ასოებისაგან შემდგარი კოდები, რომელიც გამოყენებულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში შემოთავაზებული საბაგრო გზების ტიპების აღსანიშნად.

D6C/D10G კომბინირებული მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგრო გზა შერეული 10 ადგილიან გონდოლიან კაბინასთან (კომბინირებული საბაგრო გზა ან ტელემიქსი);

D10G 10 ადგილიანი გონდოლის კაბინა;

D6C მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგრო გზა;

D4C მოხსნადი 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგრო გზა;

PG 4×3×8 დამატებული გონდოლა (სამი 8 ადგილიანი კაბინის ოთხი კლასტერი);

4C ფიქსირებული 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგრო გზა;

3C ფიქსირებული 3 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგრო გზა;

P 1 ადგილიანი საჩოჩილო საბაგრო გზა;

MC ამყვანი მოძრავი ბილიკი (დამწყებებისთვის-განკუთვნილია მოკლე მანძილებზე ფერდობზე ასაყვანად);

5. საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების გეგმა

საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების განთავსება განლაგება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში ნაჩვენებია რუკაზე 17ა, ხოლო რუკებზე 17ბ და 17გ ნაჩვენებია კობი-გუდაურის და გუდაურის სამხრეთისკენ მიმართული ფერდობები. რუკა 17დ-ზე გამოსახულია ხელოვნური გათოვლიანების სისტემის გეგმა. ამ გეგმაზე დატანილია შეთავაზებული საბაგირო გზების სისტემის ტიპები და ზოგადი მდებარეობა, ასევე სათხილამურო ტრასების მდებარეობა დამწყები მოთხილამურეების და სნოუბორდერების (დაფით მოსრიალეების) ზონები. სათხილამურო არეალის გეგმა მომზადდა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის სათხილამუროდ განვითარების საუკეთესო შესაძლებლობების დადგენა და საუკეთესო ადგილების განსაზღვრა საბაზო არეალისთვის და უძრავი ქონებისთვის. ქვემოთ მოყვანილი ტექსტი აღწერს თხილამურების/სნოუბორდის (დაფით სრიალის) მომსახურების საშუალებების გეგმას.

6. საბაგირო გზები

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შესულია 18 ძირითადი საბაგირო გზის მოწყობა, მათ შორის: ორი კომბინირებული მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა შერეული 10 ადგილიან გონდოლიან კაბინასთან; 4 მოხსნადი 10 ადგილიანი გონდოლიანი საბაგირო გზა; ერთი მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა; 5 მოხსნადი 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა; ერთი დამატებითი გონდოლიანი საბაგირო გზა; ერთი 4 ადგილიანი ფიქსირებული დასაჯდომიანი საბაგირო გზა; სამი 4 ადგილიანი ფიქსირებული დასაჯდომიანი საბაგირო გზა; ერთი საჩოჩიალო საბაგირო გზა და 9 მოძრავი ბილიკი. საბაგირო გზების საერთო საათობრივი გამტარუნარიანობა შეადგენს 47,610 მგზავრს საათში და ერთდროულად შესაძლებელია 14,250 მოთხილამურის მომსახურება. საბაგირო გზების სისტემა ჯამურად ფარავს 12.9 მილიონ სატრანსპორტო შვეულ მეტრს საათში (სმმ/სთ.) (VTM/hr.). საბაგირო გზების სპეციფიკაცია მოცემულია ცხრილში 3.1 და აღწერილია ქვემოთ.

რეკომენდაციები საბაგირო გზებთან დაკავშირებით

საბაგირო გზა 1R

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზო არეალი საბაგირო გზა 1-ის ქვედა სადგურის გარშემო გააგრძელებს განვითარებას, იგი იქნება კურორტის ძირითადი ამყვანი საბაგირო გზა. ახალი გუდაურის განვითარების ფარგლებში, გაიზრდება არამოთხილამურე სტუმრების გადაადგილების (ზემთ-ქვემთ)საჭიროება. საუკეთესო მომსახურების უზრუნველსაყოფად, როგორც დამწყებებისთვის, ასევე არამოთხილამურე სტუმრებისთვის, არსებულ „პირველი“ ფიქსირებულ 3 ადგილიან დასაჯდომიან საბაგირო გზას ჩაანაცვლებს მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა კომბინირებული 10 ადგილიანი გონდოლიანი კაბინით. ზედა სადგური ოდნავ ქვევით გადაინაცვლებს, რათა გაუმჯობესდეს მოთხილამურეთა ცირკულაცია საბაგირო გზა 2-ის ტერიტორიასთან გადაკვეთის აცილების

მიზნით და ასევე არამოთხილამურე სტუმრებისთვის სადგურების შესასვლელთან და გამოსასვლელთან უპრობლემო წვდომის უზრუნველსაყოფად.

შესაძლებელია, რომ ძველმა (პირველმა) საბაგირო გზამ გადაინაცვლოს საბაგირო გზა 10-ის ადგილას. ახალ კომბინირებულ საბაგირო გზას 1R იქნება მაქსიმალური გამტარუნარიანობა საათში 2,800 მგზავრი და ავიდეს 154 მ. შვეულ ამალეზაზე. ბაგირის მოძრაობის სიჩქარიდან (5.0 მ/წმ) გამომდინარე ამ საბაგირო გზის მგზავრობის დრო იქნება დაახლოებით 3,2 წუთი.

საბაგირო გზა 2

4-დასაჯდომ ადგილიანი მოხსნადი საბაგირო გზა „სოლიკო“ (საბაგირო გზა 2) შენარჩუნდება არსებულ ადგილას. მისი არსებული გამტარუნარიანობაა 1,900 მგზავრი საათში და შვეული ამალეზა 541 მეტრი და ის ერთდროულად მოემსახურება 1,110 საბაგირო გზა 2-ის პოპულარობა შემცირდება მას შემდეგ, როდესაც დააყენებენ საბაგირო გზა 8-ს; აქედან გამომდინარე საჭიროებას არ წარმოადგენს საბაგირო გზა 2-ის გადაადგილებას ან გაახლებას ახლო მომავალში, უბრალოდ მოხდება მისი მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში, საბაგირო გზა 2 შეიცვლება თანამედროვე გამჭვირვალე საფარით გადახურული 4 ან 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზით, რაც გაზრდის საათობრივ გამტარუნარიანობას. ალტერნატივად ასევე განიხილება საბაგირო გზა 2-ის გაუქმება და საბაგირო გზა 1R-ს გაფართოება დამატებით 700 მეტრით, 2,290 მ სიმაღლის ნიშნულამდე, რაც საშუალებას მისცემს სტუმრებს მივიდნენ როგორც საბაგირო გზა 7-თან (გუდ-აურა), ასევე საბაგირო გზა 8-სთან.

საბაგირო გზა 3R

საბაგირო გზა 3 შეიცვლება ახალი მოხსნად 4 ადგილიან დასაჯდომიანი საბაგირო გზით (3R-ით) ბაგირის მოძრაობის სიჩქარით 5.0 მ./წამ. ამ სიჩქარეზე დაყრდნობით, საბაგირო გზის მგზავრობის დრო იქნება 4.2 წუთი ქანობის 1264 მეტრი სიგრძის. ზედა სადგური რჩება იმავე ადგილას სადაც არსებული საბაგირო გზა არის ხოლო ქვედა სადგური ჩაიწევს 2,690 მეტრ ნიშნულზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მასთან პირდაპირი ამოსვლა 2, 7 და 8 საბაგირო გზებიდან. საბაგირო გზა 3R საათში გაატარებს 2,200 მგზავრს, ხოლო ერთდროულად 1,000 მოთხილამურეს. ეს საბაგირო გზა ემსახურება სხვადასხვა ტერიტორიებს მთა კუდების ზედა ფერდობებზე და ყველა ცოდნის კლასის მოთხილამურეებს, დაწყებული ახალბედიდან, ქვედა შუალედური, ზედა შუალედური და გამოცდილით დამთავრებული.

საბაგირო გზა 4R

არსებული 3 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა 4R (სნოუ პარკი) დაყენებულ იქნა 2011 წელს და ემსახურება ძალზე პოპულარულ ახალბედათა დონის რელიეფს და ასევე „სნოუ პარკს“, რომელსაც უფრო გამოცდილი მოთხილამურეებიც და სნოუბორდერებიც (დაფით მოსრიალეებიც) იყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივად ნაკლებქანობიანია კურორტის ეს ადგილი. ამ საბაგირო გზის ბაგირის მოძრაობის სიჩქარეა 2.0 მ/წმ, ხოლო საათობრივი გამტარუნარიანობა 1400 მგზავრია. საბაგირო გზა 4R -ის ფერდობის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 821 მეტრს, ხოლო მგზავრობის დასაშვები დრო - 6.85 წუთია.

საბაგირო გზა 5

საბაგირო გზა 5 „საძელე“ არის ფიქსირებული 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა, რომელიც დაყენებულ იქნა 2008 წელს. ეს საბაგირო გზის შვეული ამალეზა არის 477 მეტრი და ფერდობის სიგრძე შეადგენს 1474 მეტრს, ხოლო ხოლო მგზავრობის დასაშვები დრო - 12.3 წუთია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საბაგირო გზით მგზავრობის დრო საკმაოდ დიდია, ახლო მომავალში არ იგეგმება მისი გაახლება მომხმარებელის დაბალი მაჩვენებლის გამო. ეს საბაგირო გზა ამ ეტაპზე ემსახურება მხოლოდ დახელოვნებულ მოთხილამურეებს. სათხილამურო ტრასების დახარისხების განხორციელებით საძელეს დასავლეთ და სამხრეთ ფერდობებზე, შუალედური დონის მოთხილამურეთათვის შესაძლებელი გახდება საბაგირო გზის გამოყენება, რომელიც გაზრდის მის პოპულარობას და მოხმარებას.

6A, 6C, 6D და 6E

6A წარმოადგენს მოძრავ ბილიკს, რომელიც დამონტაჟებულ იქნა 2011 წელს და რომელსაც ამუშავებს სასტუმრო „მარკო პოლო“. 6C და 6D ასევე წარმოადგენს მოძრავ ბილიკს, რომელიც დამონტაჟებულ იქნა 2012 და მდებარეობს გუდაურის საკურორტო დასახლების/სოფლის ბაზაზე. საბაგირო გზა 6E, ზუმა, წარმოადგენს საჩოჩიალოს, რომელიც ასევე 2012 წელს დამონტაჟეს და მდებარეობს საბაგირო გზა 2-სა და საბაგირო გზა 7-ს შორის. ზემოხსენებული მოძრავი ბილიკები და საჩოჩიალო ემსახურება დამწყებსა და ახალბედა მოთხილამურეებს, მდებარეობს საბაზო არეალში და წარმოადგენს საწყის სათხილამურო-სასწავლო მომსახურების საშუალებას.

საბაგირო გზა 7

„გუდ აურა“ 10 ადგილიანი გონდოლიანი საბაგირო გზა 7 დაყენებულ იქნა 2012 წელს. ეს პოპულარული საბაგირო გზა უზრუნველყოფს მისაწვდომს ახალ გუდაურსა და გუდაურის პლატოს შორის. გონდოლიანი საბაგირო გზის საათობრივი გამტარუნარიანობა 2,800 მგზავრია და შთამბეჭდავია მისი 542 მეტრი შვეული ამალეზა. ფერდის 2411 მეტრი სიგრძითა და ბაგირის 6 მ/წმ მოძრაობის სიჩქარით საბაგირო გზით მგზავრობის დრო 6,7 წუთია. მთის ზედა ნაწილში მოთხილამურეთა აყვანის მოვალეობის შესრულების გარდა, რაც დღიური გამტარუნარიანობის 25%-ია, ამ საბაგირო გზას ერთდროულად შეუძლია 2020 ძირითადად შუალედური დონის მოთხილამურის ციკლური მომსახურება.

საბაგირო გზა 8 და 8A

საბაგირო გზა 8 არის ახალი, მოხსნადი 6 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა 536 მეტრიანი შვეული ამალეზით და საათში 2,800 მგზავრის გამტარუნარიანობით. ამ საბაგირო გზის ფერდის სიგრძეა 2366 მეტრი და მიახლოებითი მგზავრობის დრო 7,9 წუთი, რომელიც ეფუძნება ბაგირის 5 მ/წმ მოძრაობის სიჩქარეს, შემოთავაზებული ზედა გუდაურის საბაზო არეალის პორტალიდან შემოთავაზებული შუა მთის რესტორნამდე. ეს საბაგირო გზა მოემსახურება დაახლოებით 2610 შუალედური დონის მოთხილამურეს ერთდროულად და 4 ახალი სათხილამურო ტრასა დაგეგმილია მოეწყოს ძველი გუდაურის ზემოთ, საბაგირო გზა 8-თან კავშირში. სათხილამურო ტრასა 8A დაგეგმილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს სვლაგეზი ძველი გუდაურისკენ და ასევე სათხილამურო ტრასაზე შესასვლელ-გამოსასვლელი.

8A წარმოადგენს მოძრავ ბილიკს, რომელიც დააყენეს საბაგირო გზა 8-ის ქვედა სადგურთან. ეს მოძრავი ბილიკი მოემსახურება 2 მიზანს - ის იფუნქციონირებს, როგორც დამწყებების საბაგირო გზა და ასევე როგორც საბაგირო გზა, რომელიც გადაიყვანს მოთხილამურეებს 10% გრძივი დახრის ტრასაზე, საიდანაც მათ ექნებათ წვდომა 1R და 2 საბაგირო გზებთან, რადგანაც შეუძლებელია პირდაპირი დაშვება საბაგირო გზა 8-ის ქვედა სადგურიდან საბაგირო გზა 2-ის ქვედა სადგურისკენ, საბაგირო გზა 8A-ს გარეშე. რუკა 18ა გვაჩვენებს საბაგირო გზა 8-ის გეგმას და ჭრილს, ხოლო რუკა 18ე გვაჩვენებს საბაგირო გზა 8-ის ქვედა სადგურის გეგმას და ჭრილს.

საბაგირო გზა 9

საბაგირო გზა 9 წარმოადგენს მოხსნად 10 ადგილიან დასაჯდომებიან გონდოლიან საბაგირო გზას, რომელიც მიდის კობის უღელტეხილზე. ამ საბაგირო გზის შვეული ამალღება 245 მეტრია და გამტარუნარიანობის საათობრივი ხარისხი 2800 მგზავრია. ბაგირის მოძრაობის 2.0 მ/წმ სიჩქარით და ქანობის 2020 მეტრი სიგრძით საბაგირო გზას აქვს დაახლოებით 5,6 წუთი მგზავრობის დრო. რადგანაც საბაგირო გზა 9-ის ქვემოთ შეზღუდულია სრიალი, ეს დაახლოებით 75%-ით ამცირებს მის გამოყენებას, რადგანაც მისი პირველადი დანიშნულებაა მოთხილამურეთა გადაყვანა კობის უღელტეხილის მიმართულებით და უკან, ისევე როგორც საბაგირო გზა 13-ის მიმართულებით. ამ საბაგირო გზას უნდა ჰქონდეს საკმარისი გამტარუნარიანობა, რომ უზრუნველყოს დღის ბოლოს სტუმრების დაბრუნება კობში. გონდოლების სათავსი მდებარეობს საბაგირო გზა 9-ის ქვედა სადგურთან, ხოლო ზედა სადგური მდებარეობს ზუსტად საბაგირო გზა 10-ის მიმდებარედ. რუკა 18ბ გვაჩვენებს საბაგირო გზა 9-ის გეგმას და ჭრილს, ხოლო რუკა 18თ გვაჩვენებს საბაგირო გზა 9-ის და 10-ის ზედა სადგურის გეგმას და ჭრილებს.

მოძრავი ბილიკები 9A და 9B შუა მთის დამწყებთა ზონა

9A და 9B წარმოადგენს მოძრავ ბილიკს, რომელსაც გადაჰყავს დამწყებები საწყის სათხილამურო-სასწავლო მომსახურების საშუალებებთან შუა გუდაურის პლატოზე. ეს ადგილი განკუთვნილია მხოლოდ ბავშვებისთვის და ასახულია რუკაზე 20 და 21.

საბაგირო გზა 10

საბაგირო გზა 10 წარმოადგენს კომბინირებულ მოხსნად 6 ადგილიან დასაჯდომებიან საბაგირო გზას შერეულს 10 ადგილიან გონდოლიან კაბინასთან, რომელიც განთავსებულია კობის უღელტეხილის ჩრდილოეთ მხარეს. ამ საბაგირო გზას აქვს ორი ფუნქცია - ერთი ესაა დაბრუნების ციკლურობა მოთხილამურეებისთვის და მეორე - სატრანსპორტო სისტემა კობის საბაზო არეალის ჩრდილოეთის მხრიდან მიმოსვლისთვის. საბაგირო გზის შვეული ამალღება 434 მეტრია და ფერდის სიგრძეა 2257 მეტრი, ხოლო მიახლოებითი მგზავრობის დრო 7,5 წუთია, რომელიც ეფუძნება ბაგირის 5 მ/წმ მოძრაობის სიჩქარეს. შუალედური ცოდნის მოთხილამურეთათვის განკუთვნილ ყოველდღიურად მოსწორებად ტრასებთან ერთად საბაგირო გზა 10 ასევე მოემსახურება კობის აღმოსავლეთ ფერდობს, რომელიც არის განკუთვნილი თავისუფალი სრილისათვის, გამოცდილი და დახელოვნებული მოთხილამურეებისთვის.

ზამთრის პერიოდში, საბაგირო გზა 9 და საბაგირო გზა 10 იფუნქციონირებს როგორც ორი დამოუკიდებელი სისტემა, თუმცა ზაფხულის პერიოდში მოხდება დასაჯდომების მოხსნა საბაგირო გზა 10-დან და მოხდება საბაგირო გზების ამ ორი სისტემის დაკავშირება რელსების (რონების) სისტემით, რითაც გონდოლას კაბინები გაივლის საბაგირო გზა 9-ის და 10-ის ზედა სადგურებს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ დატვირთვა ზაფხულის პერიოდში ნაკლებია, ურთიერთდაკავშირებული საბაგირო გზა 9/10-ის გონდოლიანი სისტემა იმუშავებს მწარმოებელის მიერ განსაზღვრული დაბალი გამტარუნარიანობით. რუკა 18გ გრაფიკულად გვაჩვენებს საბაგირო გზა 10-ის გეგმას და ჭრილს. რუკა 18 ი გვაჩვენებს საბაგირო გზა 10-ის ქვედა და 11-ის ზედა სადგურის გეგმას და ჭრილებს.

საბაგირო გზა 11

საბაგირო გზა 11, მოხსნადი 10 ადგილიანი გონდოლის კაბინა გამოდის კობის საბაზო არეალის ჩრდილოეთ მხრიდან და უკავშირდება საბაგირო გზა 10-ის ქვედა სადგურს, რათა უზრუნველყოს საბაგირო გზების კავშირი, ხოლო საბაგირო გზა 9-ის მეშვეობით ხდება გუდაურის ძირითად სათხილამურო კურორტთან დაკავშირება. ეს საბაგირო გზა ემსახურება მხოლოდ ერთ, რთულ ტრასას, რომლითაც სარგებლობენ გამოცდილი მოთხილამურეები. შვეული ამალემა 540 მეტრია, საათობრივი გამტარუნარიანობა 2800 მგზავრი, ხოლო მიახლოებითი მგზავრობის დრო 8 წუთია, რომელიც ეფუძნება ბაგირის 6 მ/წმ მოძრაობის სიჩქარეს. ამ საბაგირო გზას ექნება წვდომის მნიშვნელოვანი შემცირების ფაქტორი გამომდინარე მისი დილის საათებში აყვანის დატვირთულობიდან, ასევე შუადღისას მოთხილამურეების სურვილის არქონის ან სათხილამურო არეალიდან გამოსასვლელის სირთულის გადალახვის უუნარობის გამო. აქედან გამომდინარე ეს საბაგირო გზა გათვლილი იქნება 320 მოთხილამურის მომსახურებაზე ერთდროულად, რაც თანხვედრაში იქნება ტრასის შეზღუდულ გამტარუნარიანობასთან. რუკა 18დ გვაჩვენებს საბაგირო გზა 11-ის გეგმას და ჭრილს. რუკა 18კ გვაჩვენებს საბაგირო გზა 11-ის სადგურის გეგმას და ჭრილს.

საბაგირო გზა 12

საბაგირო გზა 12 არის ფიქსირებული 3 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა საათობრივი გამტარუნარიანობით 1650 მგზავრი საათში, ხოლო მიახლოებითი მგზავრობის დრო 7.3 წუთი, რომელიც ეფუძნება ბაგირის 1,8 მ/წმ მოძრაობის სიჩქარეს. საბაგირო გზის მოწყობილობა საბაგირო გზა 12-თვის აღებულ იქნება საბაგირო გზა 1R-დან, როდესაც მოხდება მისი მოდერნიზება კომბინირებულ საბაგირო გზად ის მოემსახურება დამწყებ და ახალბედა მოთხილამურეებს შუამთის პლატოზე ასასვლელად, სადაც კარგი ხარისხის თოვლია მთელი სასრილო სეზონის მანძილზე.

საბაგირო გზა 13

საბაგირო გზა 13 არის 3 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა საათობრივი გამტარუნარიანობით 1400 მგზავრი საათში. საბაგირო გზა 3-ის (კუდების) ძველი მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას. ეს საბაგირო გზა მოემსახურება დაახლოებით 360 მოთხილამურეს ერთდროულად და უზრუნველყოფს წვდომას დასავლეთ მხარეს მიმართულ მთა ბიდარას ციცაბო თავისუფალი სრიალისათვის განკუთვნილ რელიეფზე.

საბაგირო გზა 14

საბაგირო გზა 14 წარმოადგენს მოხსნად 10 ადგილიან გონდოლიან საბაგირო გზას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ქვედა გუდაურის საცხოვრებლიდან და ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ბაზიდან ახალი გუდაურის და საბაგირო გზების 7 და 15 ქვედა სადგურებთან ასასვლელად. საბაგირო გზის მთლიანი გამტარუნარიანობა შეადგენს 2800 მგზავრს საათში, რათა მოხდეს სტუმრების რაც შეიძლება უფრო სწრაფი გადაყვანა. უკან დასაბრუნებელი სათხილამურო ტრასა 14A-ის მეშვეობით სტუმრები დაბრუნდებიან ქვედა გუდაურში, როდესაც თოვლის პირობები იქნება დამაკმაყოფილებელი.

საბაგირო გზა 14A, B, C – ქვედა გუდაურის დამწყებთა ზონა

ეს 3 მოძრავი ბილიკი დაგეგმარდა იმისთვის, რომ მიიყვანოს დამწყები მოთხილამურეები შესაბამის ტრასებზე, დახრით 9%, 12% და 13.5%.

საბაგირო გზა 15

საბაგირო გზა 15 არის ახალი, მოხსნადი, 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა, 228 მეტრიანი შვეული ამალეებით და გამტარუნარიანობით 2000 მგზავრი საათში. ფერდის სიგრძე 1286 მეტრი, ხოლო მიახლოებითი მგზავრობის დრო 4.3 წუთი, რომელიც ეფუძნება ბაგირის 1,8 მ/წმ მოძრაობის სიჩქარეს. ეს საბაგირო გზა მოემსახურება დაახლოებით 1,030 დამწყებთა და ქვედა შუალედური ცოდნის დონის მოთხილამურეებს ერთდროულად და უზრუნველყოფს წვდომას სარიალო არეალში შესასვლელ-გამოსასვლეთან გუდაურის მაღლობზე განაშენიანებულ არეალში. დამატებით, საბაგირო გზა 15 უზრუნველყოფს ალტერნატიულ ასაყვან გზას მათთვის, ვინც მოძრაობს ახალი გუდაურის საბაზო არეალის პორტალის გავლით, რადგანაც წვდომა საბაგირო გზებთან 16, 8 და 2 შესაძლებელია საბაგირო გზა 15-ის ზედა სადგურიდან. სათხილამურო ტრასის განვითარება შეიზღუდა საბაგირო გზა 15-ის ქვეშ, რომ გაფართოებულიყო გუდაურის მაღლობების განვითარება.

საბაგირო გზა 16

საბაგირო გზა 16 არის ახალი მოხსნადი 4 ადგილიანი დასაჯდომიანი საბაგირო გზა გამტარუნარიანობით 2200 მგზავრი საათში. საბაგირო გზის შვეული ამალეება 348 მეტრია და მოემსახურება საშუალო და გამოცდილი ცოდნის დონის მოთხილამურეებს. 700 მოთხილამურის მომსახურების გარდა, საბაგირო გზა 16 ასევე ერთდროულად უზრუნველყოფს დილის ასაყვანს მათთვის, ვინც მიდის გუდაურის მაღლობებიდან და საბაგირო გზა 15-დან. მას შემდეგ, რაც საბაგირო გზა 15 და 16 აშენდება როგორც ორი ცალკე სისტემა, მოხდება მთის ბუნებრივი რელიეფის სრული პოტენციალის ათვისება, რადგან გამოუცდელი მოთხილამურეები გამოიყენებენ საბაგირო გზა 15 და გამოცდილი მოთხილამურეები გამოიყენებენ საბაგირო გზა 16-ს, როცა თოვლის მდგომარეობა ხელსაყრელია.

საბაგირო გზა 17

საბაგირო გზა 17 არის მოხსნადი ოთხადგილიანი დასაჯდომიანი ტიპის მოწყობილობა, რომელიც ადის მთა სამელეს ყველაზე მაღალ წერტილზე. საბაგირო გზის საათობრივი გამტარუნარიანობა 2000 მგზავრია, 373 მეტრი შვეული ამალეებით. ეს საბაგირო გზა ემსახურება საშუალოზე მაღალ, გამოცდილ და დახელოვნებულ მოთხილამურეებისთვის

განკუთვნილ რელიეფს და გათვალისწინებულია, რომ უზრუნველყოს დამატებითი გამტარუნარიანობა და მაღალი სიჩქარე საძეღეს მთაზე ასასვლეღად. ტრასის მიწის ზედაპირის ცვლიღების პროექტი ტრასა 17A-ზე მოიცავს 10%-იანი სათხიღამურო გზის მოწყობას, რომელიც თავიღან აგვაციღებს ციცაბო რელიეფს და შესაძლეღობას შექმნის საშუალოზე მაღალ მოთხიღამურეთა ტრასის შექმნას.

საბაგრო გზა 18

საბაგრო გზა 18 არის (pulse gondola) გონდოღიანი მოწყობიღობა საათობრივი გამტარუნარიანობით 560 მგზავრით და 3 წუთიანი მგზავრობის დროით. ეს ამყვანი საბაგრო გზა აკავშირებს საცხოვრებღებს საბაგრო გზა 1R-ის ქვეღა სადგურთან. სათხიღამურო ტრასის 18A-ზე, ასევე ნაჩვენებია სათხიღამურო ტრასისთვის უკან დასაბრუნებელი ზოღი (სერვიტუტი);

ცხრილი 6.1
საბაგრო გზების სპეციფიკაცია

საბაგროს # დასახელება	1R პირველი კომბი ფაზა 3	2 სოლოკო D4C 1986	3R კუდები D4C ფაზა 3	4 თივლის პარკი 3C 2011	5 სამბელი 4C 2008	6A სასტუმრო გულდაური MC 2011	6C MC 2012	6D MC 2012	6E ზუმა P 2012	7 გულ აურა 10G 2012	8 I 6C ფაზა 2	8A N C ფაზა 2	9 D10G ფაზა 2	9A დამწყობა MC ფაზა 2	9B დამწყობა MC ფაზა 2
უმიდა წერტი ზღვის დონიდან მ.	2164	2708	3016	2845	3272	2001	2179	2182	2211	2724	2724	2196	2967	2734	2736
უმიდა წერტი ზღვის დონიდან მ.	2010	2167	2690	2721	2795	1997	2176	2176	2151	2180	2188	2188	2725	2728	2728
საერთო მგეული მ.	154	541	326	124	477	4	3	6	60	544	536	8	242	6	8
ჰორიზ. მანძ. მ	954	2289	1221	812	1395	40	29	62	315	2349	2304	55	2008	60	80
დახრის მანძ. მ	966	2352	1264	821	1474	40	29	62	321	2411	2366	56	2023	60	80
სამუდლო დახრა %	16%	24%	27%	15%	34%	10%	10%	10%	19%	23%	28%	15%	12	10%	10%
კ. თვლ. სიმბლავრე	2800	1900	2200	1400	1300	1200	1200	1200	600	2800	2800	1200	2800	1200	1200
მ.ს.მ/სო-მ(000)	431	1028	717	174	620	5	4	7	36	1523	1501	10	678	7	10
სამბა სიჩქ. მ/წმ	5.0	5.0	5.0	2.0	2.0	0.6	0.6	0.6	2.2	6.0	5.0	0.6	6.0	0.6	0.6
მანძარ დრო/წთ	3.22	7.84	4.21	6.85	12.29	1.12	0.81	1.73	2.43	6.70	7.89	1.54	5.62	1.67	2.23
მუშაობა ს/დღე	7.0	6.5	6.0	6.0	6.0	6.5	6.5	6.5	7.0	7.0	7.0	7.0	6.5	7.0	7.0
მ.ს.მ მოთხ/დღე	2120	4582	3651	2827	5094	940	940	940	940	3826	3115	940	2825	940	940
დაბვირთ. ეფექტ. %	90%	90%	90%	90%	80%	90%	90%	90%	85%	95%	85%	90%	95	90%	90%
წედომის მუზლდევა	75%	15%	6%	8%	0%	0%	0%	0%	0%	24%	9%	25%	74	0%	0%
მიჯნ. გამტარუნ/დღე	320	1110	1000	310	580	30	20	40	230	2020	2610	50	390	50	60

საბაგროს # დასახელება	10 კომბი უმიდა კომბი ფაზა 2	11 კომბი ბაზა D10G ფაზა 2	12 უმიდა პირველი 3C	13 ბიდრა 3C	14 წედობა D10G ფაზა 4	14A დამწყობა MC ფაზა 4	14B დამწყობა MC ფაზა 4	14C დამწყობა MC ფაზა 4	15 D4C ფაზა 4	16 D4C ფაზა 4	17 I 4C ფაზა 5	18 წედობა PG 4x3x8 კონდოლა ფაზა 5	სულ
უმიდა წერტი ზღვის დონიდან მ.	2967	2534	2720	3061	2168	1884	1894	1905	2406	2709	3287	2009	
უმიდა წერტი ზღვის დონიდან მ.	2534	1994	2613	2821	1872	1877	1885	1895	2178	2361	2914	1890	
საერთო მგეული მ.	433	540	107	240	296	7	9	10	228	348	373	119	5 749
ჰორიზ. მანძ. მ	2215	2862	777	771	2067	80	80	75	1266	1064	1401	780	
დახრის მანძ. მ	2257	2912	784	807	2088	80	81	76	1286	1119	1450	789	28 056
სამუდლო დახრა %	20%	19%	14%	31%	14%	9%	11%	13%	18%	33%	27%	15%	21% სამუდლოდ
კ. თვლ. სიმბლავრე	2800	2800	1650	1400	2800	1200	1200	1200	2000	2200	2000	560	47 610
მ.ს.მ/სო-მ(000)	1212	1512	177	336	829	8	11	12	456	766	746	67	12 881
სამბა სიჩქ. მ/წმ	5.0	6.0	1.8	1.8	6.0	0.6	0.6	0.6	5.0	5.0	5.0	4.3	
მანძარ დრო/წთ	7.52	8.09	7.26	7.48	5.80	2.23	2.24	2.10	4.29	3.73	4.83	3.07	
მუშაობა ს/დღე	6.5	7.0	6.5	6.0	7.0	7.0	7.0	7.0	6.5	6.5	6.0	7.0	6,6
მ.ს.მ მოთხ/დღე	4150	5935	1846	4812	0	940	940	940	2405	4587	5771	0	
დაბვირთ. ეფექტ. %	95%	95%	85%	85%	95%	90%	90%	90%	90%	90%	90%	95%	
წედომის მუზლდევა	23%	81%	0%	0%	100%	0%	0%	0%	8%	10%	0%	100%	
მიჯნ. გამტარუნ/დღე	1400	320	530	360	0	60	70	80	1030	880	700	0	14 250

სათხილამურო ტრასები

სათხილამურო არეალის გეგმაში გათვალისწინებულია სათხილამურო ტრასების სისტემის განვითარება, ისე რომ მოემსახუროს თითოეულ საბაგრო გზას, როგორც ნაჩვენებია რუკაზე 17ა, ბ და გ-ზე. სათხილამურო ტრასის სისტემაში შევა 89 ტრასა და ასევე გაუკვალავი ტრასები, ჯამში 552 ჰა ტერიტორია მთლიანი სიგრძით 90კმ. სათხილამურო ტრასების და გაუკვალავი გზების სისტემა მოემსახურება ერთდროულად 14 150 მოთხილამურეს. სათხილამურო ტრასების გეგმის სპეციფიკაცია იხ. **6.2 ცხრილში**.

ცხრილი 6.2

სათხილამურო ტრასების სფეციფიკაცია

პუნქტი	პუნქტი	დარღობა	ნიშნული		სერვისი	თარაზული	ფერდობი	ს პროცენტულობა	სამ.	ფარაზი	ფარდობი	ფარდობი	არეფაქტის	საბაჟინო	
დასახელება	ნიშნული	ფარაზი	მეტრი	მეტრი	მეტრი	მეტრი	მეტრი	საშუალო	დახარა	მეტრი	მ	მ	საშუალო	სერვისი	ფარდობი
საბაჟინო გზა 1R															
დასაწყისი	1A	2	2,184	2,010	154	1,106	1,117	14%	24%	36	4.02	4.06	75	300	
დასასრული	1						1,117					4.06		300	320
საბაჟინო გზა 2 სოლიდო კლასიკური															
დასაწყისი	2A	3	2,709	2,167	542	2,173	2,240	25%	33%	20	4.39	4.52	60	270	
დასასრული	2B	3	2,512	2,172	340	1,515	1,553	22%	39%	18	2.71	2.78	60	170	
დასაწყისი	2C	5	2,666	2,368	298	895	943	33%	46%	45	4.00	4.22	45	190	
დასასრული	2D	6	2,546	2,228	318	1,280	1,319	25%	40%	252	32.24	33.22	5	150	
დასაწყისი	2E	6	2,676	2,388	288	858	905	34%	40%	215	18.41	19.42	5	90	
დასასრული	2F	6	2,708	2,334	374	1,285	1,338	29%	48%	414	53.25	55.46	5	250	
დასაწყისი	2G	5	2,256	2,178	78	533	539	15%	15%	14	0.73	0.74	45	30	
დასასრული	7						8,837					120.33		1,150	1,110
საბაჟინო გზა 3R კუდები															
დასაწყისი	3A	3	3,018	2,690	328	1,863	1,892	18%	27%	30	5.56	5.65	60	340	
დასასრული	3B	3	2,978	2,908	70	210	221	33%	38%	47	0.98	1.03	60	60	
დასაწყისი	3C	4	3,018	2,690	328	1,320	1,360	25%	44%	42	5.55	5.72	60	340	
დასასრული	3D	5	2,600	2,706	194	790	813	25%	45%	40	3.15	3.24	45	150	
დასაწყისი	3E	6	3,008	2,830	178	435	470	41%	54%	190	8.28	8.95	5	40	
დასასრული	3F	3	2,936	2,913	23	218	219	11%	11%	17	0.36	0.36	60	20	
დასასრული	6						4,976					24.95		950	1,000
საბაჟინო გზა 4 სწორ პარკი															
დასაწყისი	4A	2	2,846	2,722	124	885	894	14%	18%	42	3.73	3.77	75	280	
დასასრული	4B	4	2,848	2,722	124	890	899	14%	20%	39	3.44	3.47	60	210	
დასასრული	2						1,792					7.24		490	310
საბაჟინო გზა 5 სამედიკალინური საბაჟინო ნაწილი															
დასაწყისი	5A	5	3,244	3,221	23	180	181	13%	13%	28	0.50	0.50	45	20	
დასასრული	5B	6	3,275	2,900	375	2,980	2,984	13%	52%	11	3.30	3.33	23	70	
დასაწყისი	5C	5	2,857	2,794	63	395	400	16%	22%	15	0.60	0.61	45	30	
დასასრული	5D	7	3,218	2,918	300	640	707	47%	66%	281	17.96	19.84	6	120	
დასაწყისი	5E	7	3,202	2,882	320	937	990	34%	68%	155	14.48	15.30	6	90	
დასასრული	5G	4	3,273	2,794	479	3,970	3,999	12%	35%	24	9.59	9.66	60	580	
დასასრული	5H	5	3,082	2,947	135	389	412	35%	43%	76	2.97	3.14	9	30	
დასასრული	7						9,873					52.38		940	580
საბაჟინო გზა 6A															
დასაწყისი	6A	1	2,001	1,997	4	40	40	10%	10%	30	0.12	0.12	150	20	
დასასრული	1						40					0.12		20	30
საბაჟინო გზა 6C															
დასაწყისი	6C	1	2,179	2,176	3	40	40	8%	8%	25	0.10	0.10	150	20	
დასასრული	1						40					0.10		20	20
საბაჟინო გზა 6D															
დასაწყისი	6D	1	2,182	2,176	6	70	70	9%	9%	29	0.20	0.20	150	30	
დასასრული	1						70					0.20		30	40
საბაჟინო გზა 6E ბუნა															
დასაწყისი	6E	1	2,211	2,150	61	400	405	15%	20%	30	1.20	1.21	75	90	
დასასრული	6F	1	2,186	2,154	32	165	168	19%	19%	30	0.50	0.51	75	40	
დასასრული	6G	1	2,178	2,150	28	160	162	18%	18%	33	0.53	0.54	75	40	
დასასრული	7A	1	2,211	2,178	33	245	247	13%	13%	35	0.85	0.86	75	60	
დასასრული	3	(პ არის ჩათვლილი 7A)					735	(პ არის ჩათვლილი 7A)				12		230	230

ცხრილი 6.2 გარგმელება

სათხილამურო ტრასების სფეციფიკაცია

აშის დასახელება	აშის ნომერი	ანმარსა დონე	ნიშნული		საერთო მანძილი		თარაზული ფერდობის პროცენტულობა			საშუალო სიმაღლე	ფარდაშ-ფართობი	ფარდაშის ფართობი	მოთხ. სიმაღლე	პროექტის სარეზო	საბაზირეო გზა
			ძირითადი	შემაჯღი	მეტრი	მეტრი	მეტრი	მეტრი	საშუალო						
საბაზირეო გზა 15															
	15A	3	2,408	2,175	233	1,408	1,427	17%	30%	39	5.44	5.51	60	330	
	15B	2	2,408	2,263	145	899	911	16%	16%	42	3.78	3.83	75	290	
	15C	2	2,397	2,282	115	718	727	16%	20%	38	2.72	2.75	75	210	
	15D	2	2,375	2,214	161	1,462	1,471	11%	11%	13	1.93	1.94	75	150	
	15E	3	2,278	2,198	80	434	441	18%	24%	40	1.75	1.78	60	110	
ჯამში	საბაზირეო გზა 15	5					4,977					15.81		1,090	1,030
საბაზირეო 16															
	16A	4	2,709	2,359	350	1,763	1,797	20%	38%	30	5.30	5.40	60	320	
	16B	4	2,708	2,478	228	1,000	1,026	23%	38%	30	2.97	3.05	60	180	
	16C	6	2,882	2,364	318	837	895	38%	60%	41	3.43	3.67	23	80	
	16D	5	2,462	2,359	103	512	522	20%	39%	38	1.94	1.98	45	90	
ფარდაშის ფართობი	16E	6	2,676	2,362	314	767	829	41%	67%	292	22.38	24.18	5	110	
ფარდაშის ფართობი	16F	6	2,708	2,373	335	1,075	1,126	31%	55%	169	18.12	16.81	5	80	
ჯამში	საბაზირეო გზა 16	6					6,195					55.09		880	880
საბაზირეო გზა 17															
	17A	5	3,287	2,913	374	1,866	1,903	20%	49%	36	6.72	6.85	45	310	
	17B	5	3,287	3,228	59	410	414	14%	21%	18	0.74	0.75	45	30	
	17C	5	3,072	2,913	159	940	953	17%	30%	34	3.17	3.22	45	140	
	17D	6	3,158	3,062	96	205	226	47%	58%	54	1.11	1.23	23	30	
	17E	7	3,180	2,994	186	566	596	33%	80%	34	1.91	2.01	30	60	
	17F	5	3,254	3,218	36	154	158	23%	25%	41	0.63	0.65	45	30	
	17G	5	2,920	2,913	7	121	121	8%	6%	25	0.30	0.30	45	10	
ფარდაშის ფართობი	17E	7	3,234	3,042	192	675	702	28%	75%	170	11.46	11.91	6	70	
ჯამში	საბაზირეო გზა 17	8					5,074					26.92		680	700
საბაზირეო გზა 18															
	18A	2	2,015	1,890	125	1,065	1,072	12%	30%	11	1.20	1.21	75	90	
ჯამში	საბაზირეო გზა 18	1				1,072	1,072					1.21		90	
ჯამში	ყველა საბაზირეო გზა	8					89.9 km					552.0 Ha		14,160	14,250

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სათხილამურო ტრასის ჯამური ბალანსი, სამთო-სათხილამურო ბაზართან შედარებით ჩამოთვლილია ცხრილში 6.3 და ნაჩვენებია ილუსტრაცია 6.1-ში.

ცხრილი 6.3


სათხილამურო ტრასების ბალანსი

Lift SCC = 14,250

კლასიფიკაცია	ჰა	მოთხოვ.	ბალანსი	Ideal
1 დამწყები	8.4	740	5.2%	5%
2 გამოუცდელი	24.8	1,870	13.2%	10%
3 ქვედა საშუალო	67.1	4,060	28.7%	20%
4 საშუალო	61.1	3,660	25.9%	30%
5 ზედა საშუალო	42.8	1,810	12.8%	20%
6 გამოცდილი	274.0	1,520	10.7%	10%
7 ექსპერტი	73.8	490	3.5%	5%
სულ	552.0	14,150	10 %	100%

საშუალო სიმჭიდროვე = 25.8 მოთხ./ჰა
 ოპტიმალური სიმჭიდროვე = 55.8 მოთხ./ჰა
 მოთხოვნა = 3,697 მსმ/მოთხ./დღე


სათხილამურო ტრასების გეგმის - ცოდნის დონეების მიხედვით განაწილება



განვითარების შემთხვევაში, სათხილამურო რელიეფის გეგმის მიხედვით სრიალის ცოდნის დონის განაწილება პოტენციურ სამთო-სათხილამურო ბაზრთან კარგად იქნება დაბალანსებული. ზომიერად ჭარბობს ქვედა საშუალო სათხილამურო დონისთვის განკუთვნილი რელიეფი, შესაბამისად შეინიშნება ზედა საშუალო დონისთვის განკუთვნილი რელიეფის ნაკლებობა.

ზოგადად, საბაგრო გზების სისტემის მთლიანი გამტარუნარიანობა არის 14 250 მოთხილამურე ერთდროულად, ხოლო სათხილამურო ტრასები ჯამში შეიძლება კომფორტულად შესამდლებელია მოემსახუროს 14 150 მოთხილამურეს ერთდროულად. საბაგრო გზებს 7-ს და 8-ს გააჩნია ზომიერად ჭარბი გამტარუნარიანობა, ამიტომაც არ არის რეკომენდირებული საბაგრო გზა 2-ის შეცვლა უფრო დიდი გამტარუნარიანობის მქონე საბაგრო გზით, ამასთანავე საბაგრო გზებს 5-ს, 10-ს, და 13-ს გააჩნია ჭარბი გამტარუნარიანობა, რადგანაც ეს საბაგროები ემსახურება დიდი ზომის თავისუფალი სრიალის ტერიტორიას.

7. სათხილამურო ტრასებისა და საბაგრო გზების ტევადობის გეგმის ბალანსი



ილუსტრაცია 7.1

8. მოთხოვნები ხელოვნური გათოვლიანების მიმართ

სათხილამურო კურორტი მიჩნეულია ვარგისად, თუ 15 დეკემბრისთვის ტერიტორიაზე არსებობს 60-75 სმ თოვლის საფარის 90%-იანი შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ გუდაურის სიდიდის სამთო-სათხილამურო კურორტზე, სადაც უნდა არსებობდეს ტურისტული მომსახურების საშუალებები, უკვე დეკემბრის დასაწყისში იყოს გარანტირებული თოვლის საფარი. არსებული, ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, რომელიც ფარავს მხოლოდ ტრასა 1A „პირველს“, არ არის საკმარისი კურორტის ფუნქციონირებისთვის და აქედან გამომდინარე, შემოთავაზებულია აუცილებელი ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მნიშვნელოვანი გაფართოება. 2016 წელს განსახორციელებელი ხელოვნური გათოვლიანების შემოთავაზების გარდა, დამატებით ხელოვნური გათოვლიანების სამომავლო სისტემის ილუსტრაცია მოცემულია რუკა 17-ზე.

იმისათვის რომ სათხილამურო არეალი გაიხსნას, დარჩეს მოქმედი და აქტიურად გამოყენებადი, აუცილებელია სათხილამურო ტრასაზე დატკეპნილი თოვლის ხარისხიანი საფარი შეადგენდეს ზაფხულში ზომიერად დამუშავებული ზედაპირიდან სულ მცირე 45სმ.-ს. ნაკლებს შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ქვების და მცენარეების გამოჩენას, რაც დააზიანებს მოთხილამურის მოწყობილობას და დააჩქარებს თოვლის დნობას. ხელოვნური გათოვლიანების სისტემა თავდაპირველად უნდა ქმნიდეს 45სმ საფარს, რომ სასრიალოდ გაიხსნას სათხილამურო არეალი, მაგრამ ასევე შესაძლებელი უნდა იყოს კიდევ 45სმ საფარის უზრუნველყოფა დატკეპნვის, გაწმენდის და აორთქლების გამო, რომ მთელი სეზონის მანძილზე არსებობდეს სათანადო სათხილამურო პირობები. ეს დამატებითი ხელოვნური გათოვლიანება უზრუნველყოფს ხანგრძლივ, ხარისხიან სასრიალო ზედაპირს, რომელიც გაუძლებს მოთხილამურეთა დიდ დატვირთვას.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბუნებრივი თოვლის საფარის სიმცირის პირობებში, საბაგრო გზების 1-ს, 2-ს, 4-ს, 7-ს და 8-სათვის შემოთავაზებულია სრული ხელოვნური გათოვლიანების შესაძლებლობა. ახალი გუდაურის დამწყებ მოთხილამურეთა ზონას და საჩოჩიალო 6-ს ასევე გააჩნია ხელოვნური თოვლით დაფარვა, ისევე როგორც შუა მთის გასართობ ზონას. წყლის გარდაქმნის ანგარიშისთვის, გამოყენებულია შემდეგ თანაფარდობას $0.5 \text{ მ}^3 \text{ წყალი} = 1.0 \text{ მ}^3 \text{ თოვლს}$. შუამთის ხელოვნური გათოვლიანების სისტემა დაფარავს 50ჰა ტერიტორიას და ამისათვის დასჭირდება დაახლოებით 112 600 მ³ წყალი, ორჯერ სათხილამურო სეზონის პერიოდში, არასასმელი წყლის ჯამური რაოდენობიდან, რაც შეადგენს 225 200მ³.

კონცეფციის დონეზე გამოსახულია წყალსაცავი, რომელიც მდებარეობს ბუნებრივ დაბლობზე (ჩაღრმავებაზე), ყველაზე სწორ ადგილას, შუა მთის პლატოზე, ქვემოთ იხილეთ საორიენტაციო მოცულობის ანგარიში, წყალსაცავის მოცულობის შესაბამისად იხილეთ ცხრილ 8.1-ში.

ცხრილი 8.1

ხელოვნური თოვლისთვის საჭირო წყლის მოთხოვნები

ხელოვნური გათოვლიანების ზონა	ჰორ. სივრცე ჰა.	ქანობ. სივრცე ჰა.	თოვლის სიღ. სმ	თოვლის მოც. მ ³	წყლის მოც. მ ³	ტუმბო @ 200 საათი მ ³ /მინ
არსებული 1A	4.0	4.0	45	18,000	9,000	0.75
დაგეგმილი 2016/2017 7D/2C/7A და ახალი გუდაური	14.2	14.5	45	65,281	32,641	2.72
სულ დაგეგმილი 2016/2017	18.2	18.5		83,281	41,641	3.47
საპროექტო ფაზა II 4A	3.8	3.8	45	17,258	8,629	
შუა მთის გასართობი ზონა 12C/7A/8D	1.4	1.4	45	6,300	3,150	
6E/6G/საჩოჩიალო	11.7	11.8	45	53,223	26,612	
2.1	2.2	45	9,810	4,905		
მე-2 ეტაპის ჯამი	31.1	31.5		141,919	70,960	5.91
შუა მთის ზონა	49.3	50.0		225,200	112,600	9.38

შუა მთის საპროექტო რეზერვუარი

წყლის ზედაპირის აწევა Water ზედაპირის ნიშნული =	2,836	2,836	2,836	2,836 მ
შეფასებული ზედაპირის ფართობი =	21,350	21,350	21,350	21,350 მ ²
საშუალო სიღრმე =	4	4.5	5	5.5 მ
რეზერვუარის მთლიანი მოცულობა =	85,400	96,075	106,750	117,425 მ ³
გამოუყენლობის პროცენტულობა =	5%	5%	5%	5%
რეზერვუარის გამოყენებადი მოცულობა =	81,130	91,271	101,413	111,554 მ ³

ხელოვნური გათოვლიანების ზონა	ჰორ. სივრცე ჰა.	ქანობ. სივრცე ჰა.	თოვლის სიღ. სმ	თოვლის მოც. მ ³	წყლის მოც. მ ³	ტუმბო @ 200 საათი მ ³ /min
ქვედა მთა 14A	1.6	1.6	45	7,335	3,668	
14B დამწყებთა ზონა	2.4	2.4	45	10,845	5,423	
18A	1.2	1.2	45	5,445	2,723	
ქვედა მთის ჯამი	5.2	5.3		23,625	11,813	0.98
გაფართოების ჯამი	54.5	55.3		248,825	124,413	10.4

წყალსაცავის საბოლოო მოცულობა დადგინდება დეტალური დაგეგმარების დროს, თუმცა რეკომენდირებულია ეს მოცულობა სულ მცირე იყოს +/- 80,000 მ³ და მიზანშეწონილია

112,600 მ3 წყალი შენახული იქნას შუამთის წყალსაცავში. მაგალითად, თუ წყალსაცავი იტევს 100,000მ3 წყალს, წყალსაცავი შეიძლება პირველად აივსოს 100,000მ3 წყლით ბუნებრივად, გაზაფხულის წვიმების პერიოდში და თოვლის დნობით, ამას შეიძლება დასჭირდეს დაახლოებით 6 თვე აპრილის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე. 100,000მ3-ი წყალი გამოყენებულ იქნება ხელოვნური გათოვლიანების სისტემისთვის ნოემბერში და დეკემბერში. ნოემბრის ბოლოს ან ადრეულ დეკემბერში დაიწყება წყალსაცავის ხელახალი ავსება, რასაც დასჭირდება დაახლოებით +/- 45 დღე ან დაახლოებით 1080 საათი, ანუ 26ლ/წამში (1.56 მ3/წთ).

შესაბამისად, სავარაუდოდ ნაკადის მოცულობა გუდაურში იქნება დაახლოებით 30ლ/წამში ზამთრის თვეებში, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს წყალსაცავის შევსება ერთხელ ან 1.5-ჯერ ზამთრის სეზონის განმავლობაში. თუ ეს ვერ მოხერხდება, დასამატებელი იქნება მე-2 ან მე-3 წყალსაცავი 225,200მ3 წყლის შესანახად. როდესაც სათხილამურო კურორტის ქვედა ნიშნულზე ამენდება გონდოლიანი საბაგირო გზა 14 და 18, დამატებითი წყლის 23,626მ3 მოცულობა იქნება საჭირო 90სმ საფარის ხელოვნური თოვლის უზრუნველსაყოფად მთლიანად სეზონის განმავლობაში, დამატებით 5.3 ჰექტარის ფერდობის არეალში. წყალი ქვედა მთის არეალისთვის მიღებულ იქნება პირდაპირ ბუნებრივი წყაროდან, ან შეინახება წყალსაცავში, რომელიც განთავსდება ქვედა გუდაურის პლატოზე.

9. მთის გეგმის ფაზები

მთლიანი საკურორტო არეალის განვითარების ფაზების გეგმა ნაჩვენებია ცხრილ 9.1-ში და გრაფიკულად გამოსახულია რუკა 28-ზე, მოიცავს იმ სამთო მომსახურების საშუალებების ჩამონათვალს, რომელიც დაგეგმილია განვითარების თითოეულ ფაზაზე; მათ შორისაა საბაგირო გზების სისტემის განვითარება, ტრასების განვითარება, ხელოვნური გათოვლიანება და დასატკეპნი მანქანები. გეგმით გათვალისწინებულია განვითარების 5 დამოუკიდებელი ფაზა, აქედან ფაზა 1 უკვე დასრულებულია. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ძალებმა, აღჭურვილობის ტექნოლოგიებმა, კაპიტალის არსებობამ, კომპანიის სტრატეგიებმა და სხვა ფაქტორებმა შეიძლება შეცვალოს მომსახურების საშუალებების მოწყობის თანმიმდევრობა.

ზოგადი პირობებით, ფაზა 2 იწყება საბაგირო გზა 8-ის დაყენების, ხელოვნური გათოვლიანების და შუამთის წყალსაცავის მოწყობისთანავე. თუ იარსებებს დაფინანსება, ფაზა 2-ის პრიორიტეტად განსაზღვრულია კობთან დაკავშირება საბაგირო გზებით 9,10 და 11.

ფაზა 3-ის ფარგლებში იგეგმება ძველი სათხილამურო ინფრასტრუქტურის განახლება, ასევე არსებულ საბაგირო გზებს შეიძლება შეეცვალოს დანიშნულება და უკეთ მოერგოს ფიქსირებულ დასაჯდომებთან სისტემას. ფაზა 4-ისთვის, როდესაც ვიზიტორების რაოდენობა უფრო გაიზრდება, წარმოიშვება საჭიროება შეიქმნას დიდი მოცულობის ერთი დღით ჩამომსვლელთა ბაზა, კურორტის შესასვლელში და შედეგად აყვანის გამტარუნარიანობა ახალი გუდაურიდან და გუდაურის მაღლობებისთვის შექმნის საბაგირო გზების 15 და 16-ის მოწყობის აუცილებლობას. ფაზა 5 - ზედა მთის მოცულობის გაფართოება საძელეს დასავლეთ ნაწილზე და დამატებითი წვდომის გონდოლიანი საბაგირო გზის მოწყობა.

ცხრილი 9.1

ფაზების ჯამური უწყისი

ფაზა	საბაგირო გზა	მოთხ. გამტარუნარიანობა	სათხილ. ტრასა		ხელოვნ. თოვლი ჰა	გზის მოსაველი მანქანის მოთხოვნ.
			ფართობი ჰა	სიგრძე კმ		
1	არსებული საბაგირო გზა 1 პირველი 38-1650მს საბაგირო გზა 2 სოლიკო 48-1900მს საბაგირო გზა 3 ქუდები 3-1400მს საბაგირო გზა 5 სამილე 4ც -1300მს საბაგირო გზა 6 გუდ. სასტუმრო-1200მს საბაგირო გზა 6ე საბაგირო გზა 7 გუდ აურა	6,000	სულ ფაზა 1 240	სულ ფაზა 1 8	სულ 4,0	
2	ახალი საბაგირო გზა 8 -2800მს საბაგირო გზა 8ა-1200მს საბაგირო გზა 9- 2800მს საბაგირო გზა 9ა-1200მს საბაგირო გზა 9ბ -1200მს საბაგირო გზა 10 -1200მს საბაგირო გზა 11 -2800მს	10880	ახალი ფაზა 2 160 სულ ფაზა 2 400	ახ ლი ფაზა2 8 სულ ფაზა 2 66	ახალი ფაზა 2 46 სულ ფაზა 2 \$0,0	
3	ახალი საბაგირო გზა 1R პირველი კომბი-2800მს საბაგირო გზა 3 R კუდები-2200მს შეცვლილი მდებარეობა საბაგირო გზა 12 3ც -1650მს საბაგირო გზა 13 3ც -1 400მს	11,430	ახალი ფაზა 3 49 სულ ფაზა 3 449	ახ ლი ფაზა 3 5 სულ ფაზა 3 71	ახალი ფაზა 3 0,0 სულ ფაზა 3 \$0,0	
4	ახალი საბაგირო გზა 14-2800მს საბაგირო გზა 14ა -1200მს საბაგირო გზა 14ბ-1200მს საბაგირო გზა 14ც-1200მს საბაგირო გზა 15-200მს საბაგირო გზა 16-2200მს	13,550	ახალი ფაზა 4 75 სულ ფაზა 4 524	ახ ლი ფაზ 4 13 სულ ფაზა 4 84	ახალი ფაზა 4 4,0 სულ ფაზა 4 \$4,1	
5	ახალი საბაგირო გზა 17-2000მს საბაგირო გზა 18 -560მს	14,250	ახალი ფაზა 5 28 სულ ფაზა 5 552	ახ ლი ფაზა5 6 სულ ფაზა 5 0	ახალი ფაზა 5 1,2 სულ ფაზა 5 \$5,3	

10. მოთხილამურეთა მომსახურების პროგრამირება

ტურისტების საცხოვრებელი, ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ავტოსადგომი და კომერციული მომსახურების საშუალებები მდებარეობს ძირითად ნაწილში, არსებული და შემოთავაზებული საბაგირო გზების მიმდებარედ. საზოგადოებრივი ავტოსადგომები აუცილებელია ერთი დღით ჩამომსვლელ სტუმრებისათვის, კურორტის მომსახურე მუშაკებისათვის, საბაგირო გზებიდან მოსახერხებელი სავალი მანძილის გარეთ მაცხოვრებელთათვის. ეს ავტოსადგომები არ არის გათვალისწინებული იმ სტუმრებისათვის, ვინც ღამით რჩება კურორტზე. მათთვის ავტოსადგომები უნდა უზრუნველყოფილ იქნას იმ საკუთრების საზღვრებში, სადაც დაბინავებულია სტუმარი. მოსახერხებელი საზოგადოებრივი ავტოსადგომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პერიოდში როცა არ არის ზამთრის

სეზონი, თუ ავტოსადგომი მოსახერხებელი და იოლი მოსაძებნი იქნება, გუდაურში გაჩერდება ის მგზავრიც, ვინც გუდაურის გავლით მოძრაობს სამხედრო გზაზე.

მოთხილამურეთა მომსახურებისთვის საშუალებები გვთავაზობს სათხილამურო არეალის მუშაობასთან და მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნქციებს. ეს მომსახურებები შეიძლება მოეწყოს საკურორტო დასახლების, შერეული გამოყენების შენობების პირველ სართულებზე ან მთის ბაზებთან ცალკე მდგომ დღის პუნქტებში. აუცილებელია, რომ ასეთი მომსახურებები განთავსდეს მეტ-ნაკლებად ახლოს მთავარ, ამყვან საბაგირო გზებსა და ავტოსადგომებთან, რათა ადვილად მისადგომი იყოს ერთი დღით ჩამომსვლელ და ტრანზიტით მყოფ მოთხილამურეთათვის. იდეალურია, თუ ასეთი მომსახურება იქნება თავმოყრილი ერთ ადგილას.

დაგეგმვის მიზნით ეს მომსახურებები შეიძლება ზოგადად დაიყოს 3 განსხვავებულ კატეგორიად.

აყვანის მომსახურე საშუალებები მოიცავს ბილეთების გაყიდვას, შესანახ კარადებს, აღჭურვილობის გაქირავებას და შეკეთებას, სათხილამურო სკოლას და საბავშვო პროგრამებს. ეს სერვისები განთავსებულია საბაზო არეალებში და მათი ფართობი უნდა განისაზღვროს თითოეულ საბაზო არეალში მოთხილამურეთა აყვანის რაოდენობის მიხედვით. აღჭურვილობის დაქირავების სივრცედ შეიძლება გამოყენებულ იქნას კურორტზე არსებული დაქირავებული უძრავი ქონება, რაც შეამცირებს მთის კურორტის მმართველობის კაპიტალდაბანდების ფასს.

კომერციული მომსახურებების საშუალებები განთავსდება როგორც საბაზო არეალში, ისე მთაში და მოიცავს საკვებ ადგილებს, ბარს, სამზარეულოს, ტუალეტებს და აქსესუარების გაქირავების სივრცეს. რესტორანი საბაზო არეალში არ არის აუცილებელი ეკუთვნოდეს მთის კურორტის მმართველობას, თუ ის მდებარეობს საბაგირო გზებთან ახლოს და იქნება დღის განმავლობაში სარგებლობისთვის მოსახერხებელი. რესტორნის ადგილები უნდა დაიგეგმოს მის მიმდებარედ მოსრიალე მოთხილამურეების შესაბამისად. სამზარეულოს ზომა და ტუალეტების რაოდენობა გამომდინარეობს თითოეულ რესტორანისთვის შემოთავაზებული დასაჯდომების რაოდენობიდან. სავაჭრო სივრცე უნდა განთავსდეს ისე, რომ თუ ადამიანს დარჩა საკუთარი აღჭურვილობა, იოლად შეიძინოს საჭირო ნივთი მოსახერხებელ ადგილას.

მართვის და მომსახურების საშუალებები არის ჩვეულებრივ დამხმარე მომსახურება და მოიცავს ადმინისტრაციის ოფისებს, მუშაკთა გასახდელებს, შეხვედრების ოთახებს და სათხილამურო პატრულის მომსახურების საშუალებებს. ეს მომსახურე საშუალებები განთავსებულია როგორც მთაზე ასევე საბაზო არეალებში, თუმცა მოშორებულია მოთხილამურეთა მთავარი ამყვანი ზონებისგან, ისე რომ პირველადი მომსახურებები აღქმადი იყოს მოთხილამურეთათვის საჯარო სივრცეებიდან.

11. მოთხილამურეთა მომსახურების სივრცეების ანალიზი

ცხრილში 11.1 მოყვანილია დაგეგმვის სტანდარტები რეკომენდირებული ფართობი (მ²) ერთ მოთხილამურეზე, 15 სათხილამურო მომსახურებიდან თითოეულისთვის. ბოლო 40 წლის

მანძილზე ეკოსაინმა შეიმუშავა სტანდარტები, რომელშიც შევიდა მონაცემები ევროპის, რუსეთის, აზიის, ჩრდ. ამერიკის სათხილამურო არელების საკურორტო საქმიანობის გამოცდილებიდან. სტანდარტები, რომელიც მოყვანილია ცხრილ 3.6-ში მორგებულია კონკრეტულად საქართველოს სამთო-სათხილამურო ბაზრის სპეციფიკურ საჭიროებებს და მოლოდინებს. ეს სტანდარტები ეყრდნობა აყვანის და საბაგირო გზის გამტარუნარიანობის გამოთვლებს, რათა განისაზღვროს მომსახურების სივრცეების საჭირო ოდენობა მთაზე და კურორტის საბაზო არეალში. ეს სტანდარტები ასევე გამოყენებულ იქნა საბაზო არეალის და მთის გამტარუნარიანობაზე კურორტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისთვის, რათა განსაზღვრულიყო მოთხილამურეთათვის განკუთვნილი მომსახურებების შესაბამისი ზომა და მასშტაბი.

ცხრილი 11.1

მოთხილამურეთა მომსახურების სტანდარტები

სტუმრების მომსახურების სახეობა	მოთხილამურეთა მომსახურებისათვის მოთხოვნილი ფართობი მ ² /მოთხილამურე
აყვანის მომსახურების საშუალებები	
ბილეთების გაყიდვა	0,014
შესანახი საკნები	0,065
მოწყობილობის ქირაობა/შეკეთება	0,093
სტუმრების მომსახურება/სპორტული სკოლა	0,029
საბავშვო პროგრამები	0,047
ჯამი	0,248
კომერციული მომსახურების საშუალებები	
საკვები ობიექტები	0,298
სამზარეულო	0,150
ბარი/ლაუნჯი	0,075
ტუალეტები	0,081
აქსესუარების გაყიდვა	0,058
ჯამი	0,662
მართვის მომსახურების საშუალებები	
ადმინისტრაცია	0,058
პერსონალი	0,019
პირველადი დახმარება და მთი პატრული	0,025
ჯამი	0,102
საერთო ფუნქციონალური სივრე	1,012
საწყობები (10%)	0,101
მექანიკური, ცირკულაცია (15%)	0,152
საერთო ფართობი	1,265

ქვემოთ მოყვანილია ზოგადი აღწერა, ბილეთების გასაყიდი სალაროებისა და პირველადი დახმარების პუნქტის და სათხილამურო პატრულს მომსახურების სფეროს სივრცით ორიენტაციასთან და ოპტიმალურ მართვასთან დაკავშირებით.

ბილეთები

ბილეთების გასაყიდი სალაროები ჩვეულებრივ მდებარეობს პატარა, ცალკე მდგომ შენობებში, მთავარ ამყვან საბაგირო გზებთან ან ინტეგრირებულია დღის მომსახურების პუნქტებში, კურორტის საბაზო არეალში. საბაგირო გზის ბილეთები მზარდი რაოდენობით იყიდება ინტერნეტით, ან ისინი შესულია დაბინავების საფასურში. აქედან გამომდინარე, ბილეთებისთვის განკუთვნილი სივრცე ნაკლებად საჭირო ხდება სამთო-სათხილამურო ინდუსტრიაში.

საბაგირო გზის ბილეთების შექმნა როგორც წესი ხდება შუადღემდე, ასე რომ სალაროების ფანჯრები მიმართული უნდა იყოს აღმოსავლეთისკენ, რომ რიგში მდოგმმა ხალხმა მაქსიმალურად ისიამოვნოს დილის მზით. ბილეთების გასაყიდი სივრცის სიახლოვეს უნდა იყოს თხილამურების და სნოუბორდის (დაფით მოსრიალეთა) დასადები თაროები.

პირველადი დახმარება და სათხილამურო პატრული

პირველადი დახმარების პუნქტს და სათხილამურო პატრულს უნდა ჰქონდეს პირდაპირი მისასვლელი ტრასებიდან, რომ პატრულს შეეძლოს დაზარალებულის დროულად მიყვანა მარხილის საშუალებით. ასევე სასწრაფო დახმარების მანქანას უნდა ჰქონდეს პირდაპირი წვდომა პირველადი დახმარების პუნქტთან. პირველადი დახმარების პუნქტში უნდა იყოს დაახლოებით 1 საწოლი ყოველ 500 მოთხილამურეზე, დაშავებულების მოსათავსებლად. კურორტს მთელი წლის განმავლობაში, ასევე უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების საშუალება.

ცხრილი 11.2 გვაჩვენებს თუ როგორაა მოთხილამურეთა მომსახურებები განაწილებული სხვადასხვა ადგილებზე როგორც გუდაურში, ასევე კობში. გამოყენებულია მოთხილამურეთა რაოდენობა, რომელიც გადაადგილდება თითოეულ ზონაში, რომ სწორად გათვლილიყო რესტორნის სივრცე როგორც საბაზო არეალში ასევე მთაზე. აყვანის მომსახურების საშუალებებისთვის ნავარაუდევია მთის ძირში აყვანის წერტილში არსებული ხალხის რაოდენობას. მმართველობის მომსახურების საშუალებების უმრავლესობის განთავსება მოიაზრება საბაზო არეალში და მხოლოდ რამდენიმე მთაზე.

ცხრილი 11.2

კურორტი გუდაური და კობი-გუდაური

მოთხილამურეთა მომსახურების ფართობების რეკომენდირებული განაწილება

მთის განაშენიანებული ნაწილის მოთხილამურეთა გამტარუნარიანობა = 14 250
 დაგეგმარებისთვის საჭირო დღე (მოთხილამურეთა გამტარუნარიანობის 80%) = 11 400

სტატუსის მოსახურების სახეობები	კურორტი გუდაური, უძრავი ქონების ზომები და ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხ. სეტოსა გომების საბაზო არეალი											რესტორნები მთაზე			
	მთის მთის საშენი ფართობი მ²/მთხ.	მთის მთის საკირო ფართობი გა	მთა გუდაურის მთა გა	საბაგირო 18-ის მთა მ²	მარკო პოლოს მთა გა	სასტუმრო კვრე დიფში საბაგირო 2-ის მთი გა	საბაგირო 8-ს საბაზო არეალი გა	ახალი გუდაური გა	გუდაურის მდლოები გა	კობი-გუდაური გა	მთის რესტორ. გა	გუდაური საბაგიო 7/8 გა	ახალი კობის კობი გა	საბაგირო 16/საბაგირო 2 რესტორანი გა	არსებული სპრეცტოს ჯამი მთხ.მ²
აუგანის მომსახურების საშუალებები															
ბილინის გაყოფა	0.014	159	72	4	12	18	17	40	6	5				214	
შესანახი საკნები	0.065	741	337	17	54	84	78	187	29	2.9		52		1047	
მონეტა ქარაზა/შვედურა	0.093	1060	482	24	78	120	112	268	41	2.8				1423	
სპორტული სკოლა	0.029	331	150		24	37	35	84	13	3		23		459	
საბავშვო პროგრამები	0.047	536	244		39	60	56	135	21	1.1		38		744	
ჯამი	0.248	2827	1285	45	207	319	298	714	110	7.6		113		3887	
კომერციული მომსახურების საშუალებები															
კვებით მომსახურება	0.298	3397	298		59	384	149	477		1.9	142.5	745	447	329.5	
საშხარეული	0.150	1710	150		30	193	75	240		5	50	375	225	1638	
ბარი/ლაუნჯი	0.075	855	75		15	97	38	120		8		188	113	797	
ტელეკაბი	0.081	923	81		16	104	41	130		1	18	203	122	878	
აქსესუარების მარაზა	0.058	661	58		11	75	29	93		9		145	87	614	
ჯამი	0.662	7546	662		329	853	332	1060		3.2	210.5	1656	994	742.5	
მართვის მომსახურების საშუალებები															
ადმინისტრაცია	0.058	661	58			75	23	93		1.6	70	58	29	551	
მუშაკთა მომსახურების საშუალებები	0.019	217	19			24	8	30		1	45	19	10	251	
პირველადი დახმარება და მთის ატრული	0.025	285	25				10	40		0		25	13	251	
ჯამი	0.102	1163	102			99	41	163		3.7	115	102	52	1053	
ფუნქციონალური სივრცეების ჯამი	1.012	11536	2049	45	536	1271	671	1937	110	14.5	325.5	1871	1046	12362	
საწმენდი (10%)	0.101	1154	205	5	54	127	67	194	11	1.6	187	105	105	1206	
შეკან. ცენტრალიზაცია (15%)	0.152	1730	307	7	80	191	101	291	17	2.8	47.5	281	157	185.5	
საერთო ფართობი	1.265	14420	2561	57	670	1589	839	2422	138	18.9	373	2339	1308	15423	

12. მომსახურების საშუალებები მთელი წლის მანძილზე

როგორც ამერიკული და ევროპული გამოცდილება გვაჩვენებს, სარეკრეაციო აქტივობების ფართო მომსახურებების არსებობა მეტად წარმატებულია ასეთ კურორტებზე. მთის ბუნებრივი სილამაზე მიმზიდველია სტუმრებისთვის, თუმცა სარეკრეაციო აქტივობები უფრო აძლიერებს დადებით განწყობას. რეკრეაციამ უნდა მიიზიდოს ყველა ასაკის და ინტერესის ხალხი. ეს შეიძლება იყოს სეირნობა მთაში, კლდეზე ცოცვა და ა.შ.

მსგავსი აქტივობების განვითარება განსხვავდება სირთულით და ფასით და დამოკიდებულია თუ რა მომსახურების საშუალებები, თუ პროგრამა უნდა განხორციელდეს. ყველაზე ძვირად ღირებულია სათხილამურო გოლფის ტერიტორიის მოწყობა, ხოლო საბანაკე ადგილები და ლაშქრობა მოითხოვს მინიმალურ კაპიტალდაზანდებას. საზაფხულო აქტივობების ქსელი მეტად მნიშვნელოვანია ამ გეგმაში. სხვა შედარებით უფრო მცირე გაუმჯობესებების საშუალებები, როგორცაა კედელზე ცოცვა, ბატუტი და საზოგადოებრივი გამოყენების პატარა სპორტული მოედნები მრავალფეროვნებას სძენს სარეკრეაციო პოტენციალს.

კურორტის განვითარების პროცესში, კურორტის ზაფხულის და ზამთრის პერიოდში გამოყენებების განსხვავება გაზრდის და გააფართოებს სხვა აქტივობების დამატების აუცილებლობას.

13. ზამთრის პოტენციური აქტივობები

საბაგირო გზები, გარდა თხილამურებისა, სნოუბორდისა (დაფით სრიალისა) და რესტორნებისა, უნდა უზრუნველყოფდეს წვდომას სხვა სამთო აქტივობებთან, როგორცაა გაუკვალავ თოვლზე სასიარულო ტურები (back country touring), შვეულმფრენიდან სრიალი მიმდებარე მთის ფერდობებზე (helicopter skiing), ყინულზე ცოცვა, თოვლის სათამაშო მოედნები, ზამთრის სასეირნო ბილიკები, სალამოს სადილები მთის რესტორანში,

ვარსკვლავების ჭვრეტა მთის მწვერვალიდან და ა.შ. სათხილამურო შეჯიბრებები, ბილიკები "სნოუშოუსტეის"(snowshoe trails), მარხილში შებმული ძაღლების ან ცხენების რბოლა, ასევე შეიძლება დაინერგოს ზამთრის აქტივობების ფარგლებში. საოჯახო გასართობი და სათამაშო ზონა შეიძლება განთავსდეს საბაგრო გზების სადგურების სიახლოვეს, სადაც შესაძლებელი იქნება მარხილებით სრიალი და საბუქსირე საბაგროებით ხალხის ზემოთ აყვანა.

- „ნორდიკ“ სრიალი
- „სნოუშოუნგი“
- მარხილებში შებმული ძაღლები
- ეტლებში შებმული ცხენები
- გასაბერ ციგებზე სრიალი
- ყინულზე სრიალი
- ბურანები
- ტურები თოვლმავალი მანქანით
- ღამის ფესტივალები/ღონისძიებები ფოიერვერკებით

საზაფხულო პოტენციური აქტივობები

ზოგიერთი სარეკრეაციო აქტივობისას შეიძლება გამოყენებულ იქნას საკურორტო დასახლების მომსახურების საშუალებები, სათხილამურო არეალის მომსახურების საშუალებები ან ბუნებრივი გარემო, მაშინ როცა სხვა აქტივობებს დასჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა და მათი მართვისთვის განკუთვნილი მომსახურების საშუალებების მოწყობა. აღნიშნული აქტივობები, ან უკვე არსებობს გუდაურის კურორტზე ზაფხულის პერიოდში, ან შეიძლება დაინერგოს კურორტზე, როგორც მთაზე, ასევე საბაზო არეალში.

- მინი გოლფი
- ფეხით ან ველოსიპედებით სეირნობა
- დათვალიერება საბაგროთი
- სამთო ველო-გასეირნება
- მთიდან დაშვება ველოსიპედებით (ასვლა საბაგრო გზებით)
- ალპური სასრიალოთი სრიალი
- კედელზე ცოცვა
- ბატუტი გასაწელი თოკებით
- გოლფ ფრიზბი
- მინდვრის ხელბურთი
- ბაგირით დაშვება

- ხეებზე ან თოკებზე ცოცვის პარკი
- მდიდრული ან გლამურული საკარავე ბანაკი
- სათავგადასავლო ტურები
- რაფტინგი
- კლდეზე ცოცვა
- გუნდური კურსები, ვორკშოპები, კონფერენციები
- კარტინგი (განთავსებული საკურორტო დასახლების ვაკე ადგილზე)
- ფერმერთა ბაზრობები, კულინარიული ფესტივალები
- ქუჩის მუსიკის ფესტივალები და კონცერტები
- მარათონები და ა.შ
- ბანაკები
- აქვა ცენტრი

14. საზაფხულო მომსახურების საშუალებები არსებული სამთო ინფრასტრუქტურის გამოყენებით

საზაფხულო აქტივობები მეტად მნიშვნელოვანია კურორტის ფუნქციონირებისთვის მთელი წლის მანძილზე. პირველ რიგში უნდა დაინერგოს ისეთი აქტივობები, რომელიც უკვე არსებული ინფრასტრუქტურის და მომსახურების საშუალებების გამოყენებას შეძლებს.

პარაგლაიდინგი არის აქტივობა, რომლის მიმართაც ინტერესი თანდათანობით იზრდება, დაშვებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კურორტის უმაღლესი წერტილი, ხოლო დაჯდომისთვის სასურველია საკურორტო დასახლებასთან ახლოს მდებარე ქანობიანი არეალი. ასევე შესაძლებელია „ალპური სასრილოს“ მოწყობა დამწყებთათვის განკუთვნილ ფერდობებზე რომელსაც მოემსახურება დამწყებთათვის განკუთვნილი საბაგირო გზა ან სპეციალური სასრილო ბუქსირი (special slide tow)

ღირშესანიშნაობების დათვალიერება საბაგირო გზით

გუდაურში არსებული საბაგირო გზები შეიძლება გამოყენებულ იქნას მგზავრთა გადასაცვანად მთის მაღლობებზე ღირშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის პერიოდში. ზაფხულში მგზავრები მთის მაღლობიდან გადაადგილდებიან სხვადასხვა მიმართულებით. მოლაშქრეების და მობანაკეებს შეუძლიათ მთაზე მოხვედრა ასევე საბაგირო გზის მომსახურების საშუალებებით. მთის მაღლობზე არსებული რესტორნის მომსახურების საშუალებები მოემსახურება ვიზიტორებს, ასევე ფართობით უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას და იქნება სათავგადასავლო სარეკრეაციო ზონა მთელი წლის მანძილზე.

საბაგიროთი ასვლა და მთიდან დაშვება ველოსიპედებით

ამ ეტაპზე გუდაურში, ერთ სათხილამურო ტრასაზე არსებობს მთიდან ველოსიპედებით დაშვების მომსახურება, ასევე ხდება გონდოლიანი საბაგირო გზის მეშვეობით. სამთო საველოსიპედო ბილიკები გაფართოვდება არსებული საზაფხულო გზების გამოყენებით და ასევე ახალი უფრო რთული ტრასების დამატებით, როგორცაა ბოლო დროს გაკეთებული ბილიკი გონდოლიანი საბაგირო „გუდ აურას“ ზედა სადგურიდან ახალი გუდაურის საკურორტო დასახლებამდე.

სხვადასხვა წლიური აქტივობები, რომელიც მოითხოვს მინიმალურ ინფრასტრუქტურას ან საერთოდ არ საჭიროებს მას

ხეობის მრავალფუნქციური ბილიკების ქსელი სარეკრეაციო აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილია სამთო კურორტზე და შეიძლება დაინერგოს გუდაურის კურორტზეც სერვიტუტის /გასხვისების ზოლის და მწვანე დერეფნების გასწვრივ და შესაძლოა დააკავშიროს რამდენიმე მწვანე საპარკო სივრცე და სხვა მიმართულებები, როგორცაა სპორტული ცენტრები, წყლის აუზები და კურორტის დასახლების ცენტრი.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე აქტივობები, რომლებიც იყენებენ საკურორტო დასახლების ინფრასტრუქტურას

თვითონ საკურორტო დასახლება წარმოადგენს ძირითადი მიზიდვის ცენტრს, რომელიც სთავაზობს სტუმრებს მრავალფეროვან აქტივობას, სადაც სტუმრებს შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა, საზოგადოებრივ სივრცეებში. საკურორტო დასახლების ცენტრი არის ტერიტორია სადაც განთავსებულია საზ. კვების, სავაჭრო ობიექტები და საცხოვრებელი შენობები.

შერეული გამოყენების კომერციული და საცხოვრებელი სივრცეები ერთ შენობებში უზრუნველყოფს კურორტის დასახლების სიცოცხლისუნარიანობას განვითარების პროცესში. საკურორტო დასახლების ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს კინოთეატრი, სათამაშო ცენტრი მოზარდებისთვის და ღამის კლუბები. გათვალისწინებულია, რომ არსებული ახალი გუდაური ასევე იქნება კურორტის ცენტრი და განაგრძობს გაფართოებას და ყველა ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორების დაინტერესებას.

ახალი გუდაურის საკურორტო საფეხმავლო დასახლება და თოვლის ზედაპირი

საზაფხულო აქტივობები, რომელიც საჭიროებს ინფრასტრუქტურას

მინი გოლფს, სპორტული მოედნებს, საბანაკე ადგილს, ცხენის თავლებს და საცხენოსნო ცენტრს ესაჭიროება სპეციფიკური ინფრასტრუქტურა.

ბაგირზე ჩამოკიდებით გადაადგილება

ბაგირით დაშვება (Park City Zip Rider)

ალპური სასრიალო

კედელზე ცოცვა

ასაცოცი კედელი

სხვა ღონისძიებები

- ლამქრობები ბუნებაში;

- ღამით ვარსკვლავების ჭკრეტა;
- სპორტული ბანაკები;
- შეჯიბრებები (თხილამურები, სნოუბორდი (დაფით სრიალი), სირბილი, ველორბოლა, ტრიატლონი)
- იოგა, სპა, გარე აქტივობები - ლაშქრობა, სირბილი, კლდეზე ცოცვა, მთის ველორბოლა;
- კონფერენციები და სემინარები, ქორწილები, ოჯახური შეკრებები;
- სამთო კონცერტები და ფესტივალები;
- უფასო, ქუჩის რეგულარული გასართობი ღონისძიებები;
- ფოიერვერკი
- ხელოვნების ფესტივალები და ფერმერთა ბაზრობები.

15. ზონირება

გუდაურის მიწათსარგებლობის გეგმის საფუძველზე შემუშავებულია:

- ა) მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირების დოკუმენტი;
- ბ) მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი.

ზონების ტერიტორიების საზღვრების დადგენისას, გამოყენებულია:

- ა) დასახლებათა ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები;
- ბ) დასახლებათა განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრები;
- გ) ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები/მიჯნები;
- დ) დაცული ტერიტორიების საზღვრები;
- ე) კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლის ტერიტორიის ან/და დამცავი ზონების ტერიტორიის საზღვრები/ფარგლები;
- ვ) საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, საკურორტო, სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრები;
- ზ) ქუჩებისა და მაგისტრალის ტერიტორიების საზღვრები;
- თ) მილსადენებისა და სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორიების ან/და გასხვისების ზოლის საზღვრები.

უფლებრივი ზონირების დოკუმენტების განხორციელების მიზნით, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე დადგენილია შემდეგ ზოგად ფუნქციურ ზონებად:


- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა – (ლსზ);
- სასოფლო-სამეურნეო ზონა – (სოფზ);
- სარეკრეაციო ზონა _ (რზ);

- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა – (სრზ);
- საცხოვრებელი ზონა – (სზ);
- სატრანსპორტო ზონა – (ტზ);
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა – (სსზ);
- სამრეწველო ზონა – (ს)

და კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად:

- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა' – (ლსზ');)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა' – (სოფზ');)
- სარეკრეაციო ზონა - (რზ');)
- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 1 (სრზ-1)
- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2 (სრზ-2)
- საცხოვრებელი ზონა 1 - (სზ-1);
- საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2);
- საცხოვრებელი ზონა 3 - (სზ-3);
- სატრანსპორტო ზონა 1 – (ტზ-1);
- სატრანსპორტო ზონა 2 – (ტზ-2);
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 – (სსზ-1);
- სამრეწველო ზონა 1 – (ს-1);

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში შეირჩეულ იქნა „სპეციალური განვითარების არეალები“ (დანართი N3 საბაზისო არეალების მომსახურებები სარეკომენდაციო), რომლის საფუძველზეც დამუშავდა 6 გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. იხ. ილუსტრაცია 15.1.



ილუსტრაცია 15.1 გრგ-ს არეალები

16. საინჟინრო ინფრასტრუქტურა

ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გუდაურის ინტენსიურ ზრდას. არსებული ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, წყალმომარაგება, თხევადი ნარჩენების მოცილების სისტემა) არის ძალიან გადატვირთული სეზონის პიკურ პერიოდში. გუდაურის სარეკრეაციო არეალში არსებობს რამდენიმე, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (600მ² ფართობზე ნაკლები), რომელიც გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ზონირების ნაწილის თანახმად ჩაითვალა განვითარებასთან შეუთავსებლად/განაშენიანებისთვის შეუფერებლად.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გეგმის ნაწილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. რუკებზე 27ვ-27ი ნაჩვენებია არსებული და სამომავლო წყალმომარაგების ძირითადი ქსელი და სათავე ნაგებობები, თხევადი ნარჩენების გამწმენდი ნაგებობა, ელექტრო მომარაგების ძირითადი ქსელი, მაგისტრალური დერეფნები, ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი და გზებისა და ქუჩების ძირითადი ქსელი.

იხ. რუკები:

- **რუკა 27ვ** საპროექტო ტერიტორიაზე არსებული და სამომავლო წყალმომარაგებისა და თხევადი ნარჩენების მოცილების სქემა
- **რუკა 27ზ** საპროექტო ტერიტორიაზე ელექტრომომარაგების ძირითადი ქსელის რუკა
- **რუკა 27თ** საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელის რუკა
- **რუკა 27ი** საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი გზების და ქუჩების ქსელის რუკა

17. მიწათსარგებლობის გეგმის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება და განხორციელების ეტაპები და რიგითობა

კურორტი გუდაური გარდამავალ პერიოდშია, იგი რეგიონული დონის კურორტიდან საერთაშორისო დანიშნულების სამთო-სათხილამურო კურორტიდ ყალიბდება. უცხოეთიდან სტუმრების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად, მომსახურება და მომსახურების საშუალებები გუდაურში უნდა გახდეს „მსოფლიო კლასის“.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ამოცანაა კურორტის პოტენციალის კვლევვის და ანალიზის საფუძველზე:

- მდგრადი განვითარების გრძელვადიანი ხედვის საფუძველზე მთელი წლის განმავლობაში მიმზიდველი ადგილი გახდეს;
- სათხილამურო რესურსის მთიანი ათვისება;
- დადგენილი განვითარებისთვის თავსებითი ადგილები და კონკლრეტული ზონირებით განსაზღვრული გამოყენების რეჟიმები.

გუდაურის სათხილამურო არეალში მგგ-ის მიხედვით დაგეგმილი საკურორტო სამთო-სათხილამურო პოტენციალის შეჯამება:

- ჯამური გამტარუნარიანობა **14 250 მოთხ/დღეში**
- **16 საბაგირო გზა**; 1 საჩოჩილო და 9 მოძრავი ბილიკი;
- 89 მარკირებული სათხილამურო ტრასა, **ჯამში 90 კმ.**

ცხრილი 17.1- ში წარმოდგენილია გუდაურში საწოლების დღეს არსებული და სამომავლო (პოტენციური) რაონობა კობი-გუდაურის საკურორტო დასახლებების მიხედვით.

	არსებული	პოტენციური	ჯამური რაოდენობა
ზღა გულაური	960	1 160	2 120
ახალი გულაური	630	4 670	5 300
გულაურის მალმოგები	--	1 560	1 560
ცენტრალური გულაური	2 930	1 360	4 290
ქვედა გულაური	570	6 970	7 540
ჯობი-გულაური	--	2 180	2 180
	<u>5 090</u>	<u>17 900</u>	<u>22 990</u>

ცხრილი 17.1 არსებული და პოტენციური საწოლების რაოდენობა

ამ ეტაპზე, როდესაც გუდაურში მიაღწეულ იქნა სტუმართა კრიტიკული რაოდენობა და გახდა მიმზიდველი იმ ინვესტორებისთვის, ვისაც სურს ააშენოს ახალი/დამატებითი მომსახურების საშუალებები, აუცილებელია დადგინდეს შესაბამისი რეგულაციები იმის უზრუნველსაყოფად, რომ განაშენიანება არ აღემატებოდეს მმართველობის შესაძლებლობას, რათა მან შექმნას და შეინარჩუნოს აუცილებელი ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, წყალი, წყალარინები, ელექტრობა, მყარი ნარჩენების შეგროვება, სამაშველო მომსახურება და ა.შ). აუცილებელია მარეგულირებელი ჩარჩოპირობები, რაც დაიცავს დაფინანსების მექანიზმებსა და უზრუნველყოფს სამომავლო მართვასა და მომსახურებას.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა აყალიბებს გრძელვადიან ხედვას სამთო კურორტის განვითარება-ფუნქციონირებისთვის მთელი წლის განმავლობაში.

18. განვითარების/განაშენიანების კონტროლის მექანიზმები

წინა წლებში დაშვებული იყო კერძო სახლების (ვილების) მშენებლობა პატარა მიწის ნაკვეთებზე, რომელთაც არც საავტომობილო გზასთან, არც წყალმომარაგებასთან და არც თხევადი ნარჩენების მოცილების სისტემასთან ჰქონდა კავშირი. ამ ეტაპზე ასეთი განაშენიანება აღარ განიხილება, როგორც მდგრადი განვითარება, განსაკუთრებით ალპურ გარემოში.

ახალი განვითარება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ და მიღებულ სტანდარტებს. ამასთანავე, მიზანშეწონილია შეიზღუდოს ახალი განაშენიანება ზღვის დონიდან 1,850მ ნიშნულზე მაღლა მდებარე 30%-ზე მეტი ბუნებრივი დახრის მქონე მიწის ნაკვეთებზე, რომელთაც არ აქვთ მისასვლელი საზოგადოებრივ საავტომობილო გზიდან მთელი წლის მანძილზე და რომელიც არ შეიძლება ჩაერთოს წყალმომარაგებისა და თხევადი ნარჩენების მოცილების არსებულ ქსელში. თუ მენაშენეს სურს რამდენიმე მცირე ნაკვეთის შექმნა და მათი გაერთიანება საზოგადოებრივ საავტომობილო გზასთან მისასვლელის უზრუნველსაყოფად, რომელიც მკვკ-ს სტანდარტებთან თავსებადი იქნება, ესეთი განვითარების ვერსიაც შესაძლოა იყოს განხილული. უკვე დაწყებულ/მიმდინარე მშენებლობებს უნდა მიეცეთ უფლება არაუმეტეს 2 წელიწადში მშენებლობის დასრულებისათვის და შემდეგ განვითარების/განაშენიანების უფლება გაუქმდეს. 1,850მ-ზე და მაღალ ნიშნულებზე ასეთი შეზღუდვები დაიცავს ზემოქმედებისგან გუდაურის ქვედა პლატოზე არსებულ მცირე სასოფლო-სამეურნეო საკუთრებებს.

19. საბაზო და სათხილამური არეალის განვითარების ეტაპების გეგმა

გუდაურის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში დაგეგმილია სათხილამურო მომსახურების საშუალებების ზრდა 2.4-ჯერ და შესაბამისად განხორციელდა საბაზო არეალზე მიწის ნაკვეთების განსაზღვრა, რაც გაზრდის კურორტ გუდაურის მოთხილამურეთა საცხოვრებლების ტევადობას 4.5-ჯერ. ეს არის კურორტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა. განვითარების ყოველი ეტაპი უნდა ქმნიდეს ოპტიმალურად დაბალანსებულ მომსახურების საშუალებებს და ასე მიიწვევდეს საბოლოო მიზნისკენ. საკმაოდ ძნელია წინასწარ განსაზღვროთ თითოეული ფაზის ხანგრძლივობა; მნიშვნელოვანია დაიგეგმოს პროექტების ყოველი ნაბიჯი, რომ ყოველი ფაზის ბოლოს მიღებულ იქნას კონკრეტული შედეგი. მთის გაზრდილი სამთო სათხილამურო არეალის პირობებში უნდა განხორციელდეს ადეკვატური მართვა, სწრაფი მომსახურება, ახალი საბაგრო გზების აღჭურვა, ახალი სათხილამურო ტრასების თოვლის მოსწორება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სათხილამურო მომსახურების პუნქტების მუშაკებით დაკომპლექტება. ასევე, საბაზო არეალში, კერძო ინიციატივებით განვითარება არ უნდა გასცდეს დაგეგმილი განაშენიანების საზღვრებს

და არ გამოიწვიოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მომსახურების ზრდა.

საბაზირი:

1	1 650
2	1 900
3	1 100
4	1 400
5	1 300
6A	1 200
6C	1 200
6E	1 200
7	2 800
	აღ./საათ.

სათხილაგურო ტრასები:

340 ჰექტარი

ხელოვნური გათოვლიანება:

4 ჰექტარი

ავტო ტექნიკა:

6,5 ცალი

(ერთ ერთეულს ესაჯიროება ნახილი
ჯაგვი 7 ცალი)

პირველი ეტაპის სამთო სათხილაური განვითარების მონაცემები

როგორც სამთო მომსახურების საშუალებების ნაწილშია აღნიშნული, სამთო-სათხილაგურო კურორტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაოები დაგეგმილია განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად, საიდანაც ახალი გუდაურის განაშენიანება და საბაგრო გზები არის 1-ლი ეტაპი.

საბაზირი:

8	2 800
8A	1 200
9	2 800
9A	1 200
9B	1 200
10	1 200
11	2 800
	აღ./საათ.

სათხილაგურო ტრასები:

160 ჰექტარი

66 ჰმ.

ხელოვნური გათოვლიანება:

46 ჰექტარი

ავტო ტექნიკა:

3 ცალი

მეორე ეტაპის სამთო სათხილაური განვითარების მონაცემები

ქვედა გუდაურის ახალი ავტოსადგომი და ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ბაზა და სხვა მომსახურე საშუალებების მშენებლობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დანარჩენი კურორტის განვითარების ფაზებზე. ტერიტორია შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ან შაბათ-კვირის ბაზა, ვიდრე არ დადგება სხვა მომსახურებების საჭიროება. კობი-გუდაურის ბაზასაც შეუძლია ფუნქციონირება, როგორც ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ბაზად, ვიდრე არ დადგება განაშენიანების განვითარების საჭიროება და საშუალება.

საბაგიროები:

1R 2 800
3R 2 200

სათხილაგურო ბრასები:

49 ჰეჩტარი
5 ჰა.

არსებული საბაგიროები
რელოკაცია:

12 1 650
13 1 400
 ად./საათ.

ხელოვნური ბათოვლიანება:

50 ჰეჩტარი

ავტო ტექნიკა:

2 ცალი

მესამე ეტაპის სამთო სათხილაური განვითარების მონაცემები

საბაგირო გზა 15 საჭირო გახდება მას შემდეგ, რაც მოთხილამურეთა რაოდენობა ქვედა გუდაურიდან და ახალი გუდაურიდან გადააჭარბებს არსებული „გუდა აურას“ გონდოლიანი საბაგირო გზა 7-ის გამტარუნარიანობას. გუდაურის მაღლობების განვითარება წინ არ უნდა უსწრებდეს ამ საბაგიროს მოწყობას. მისასვლელი საავტომობილო გზა, ელექტრომომარაგება, წყალ-მომარაგება და საყოფაცხოვრებო წყალარინები ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა გუდაურის მაღლობებში და მოითხოვს დეტალურ გეგმას.

საბაზირი:

14 2 800
14B 1 200
14C 1 200
15 2 000
16 2 200
აღ./საათ.

სათხილაგურო ტრასები:

75 ჰექტარი
13 ზმ.

ხელოვნური გათოვლიანება:

4 ჰექტარი

ავტო ტექნიკა:

2 ცალი

მეოთხე ეტაპის სამთო სათხილაური განვითარების მონაცემები

საბაზირი:

17 2 000
18 560
აღ./საათ.

სათხილაგურო ტრასები:

28 ჰექტარი
13 ზმ.

ხელოვნური გათოვლიანება:

6 ჰექტარი